ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და ხრუს. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 125 | კვირა, 4 ივნისი 1922 წ. | ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 4 ივნისი 1922 წ. | № 125

სამშაბათს 6 ივნისს საღამოს 6 საათზე სასახლეში შესდგება სრულიად საქართველოს

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

ც. აღმასკომის მდივანი: თ. კალანდაძე.

ორშაბათს, 5 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის

შეერთებული სხდომა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულ პლენუმის და ფაბრიკა ქარხ-კომებთან და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას გენუიდან დაბრუნებული ამხ. ნარიმანოვის მოხსენება: „გენუის კონფერენციის შესახებ“.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი
ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

სამშაბათს, ივნისის 6-ს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიატინის ქუჩიდან) შესდგება

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა

ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) 24—26 მაისს მომხდარ ამბების შესახებ.
2) ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შესახებ და სხვა.

საკითხების სერიოზულობის გამო თავის დროზე გამოცხადება ყველასათვის აუცილებელია.

საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის მეორე ყრილობა

ორშაბათს, 5 ივნისს ქ. თბილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის მეორე ყრილობა.

მან უნდა ჩამოაყალიბოს კომუნისტური საკავშირო აღმშენებლობის ახალი გეგმა ახალ პირობებისათვის შეფარდებით და გადასცეს ის სახელმძღვანელოთ ახალ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც არჩეულ იქნება ამავე ყრილობაზე.

მშრომელ ახალგაზრდობის ყურადღება ამ ყრილობაზე უმთავრესათ მიმართული იქნება მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობისა და მისი ეკონომიური მხარის გაუმჯობესებისაკენ. ამასთანავე ახალგაზრდობა, როგორც იმედი მომავალისა, დიდ ყურადღებას მიაქცევს საბჭოთა აღმშენებლობის იმ დარგს, რომელიც ყველაზე უფრო მეტად, და თითქმის განსაკუთრებითაც, მას ეხება. ეს არის სახალხო განათლების საქმე საქართველოში.

და კიდევაც დასმულია ეს კითხვები ცალკე ყრილობის დღის წესრიგში. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ განათლებასა და ცოდნას ქვეყნის კულტურულათ წინ წაწევისათვის. ამიტომაცაა, რომ ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობა ჯეროვან ყურადღებას აქცევს ამ საქმეს და ცდილობს მის გავრცელებასა და გაღრმავებას ხალხის ფართო და განსაკუთრებით ახალგაზრდობის წრეებში.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირმა ღირსეული მუშაკები უნდა გამოუწვრთვნას და მოუმზადოს ჩვენს პარტიას თავის რიგების შესასქელებლათ და გასაძლიერებლათ, რათა ამ უკანასკნელმა უფრო მხნეთ და პირწმინდათ დაიყვანოს ბოლომდე მშრომელთა მასების გასანთავისუფლებლათ დაწყებული უკანასკნელი და გადამწყვეტი დიადი ბრძოლა.

და ამ ამოცანას კიდევაც ასრულებს პირნათლათ ჩვენი კომუნისტური ახალგაზდობის კავშირი თავის დაუღალავი და მხნე მუშაობით. ის დღეს უკვე ახდენს თავის მეორე დატალურ ყრილობას თავისუფალ საბჭოთა საქართველოში.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამ მეორე ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი ის ათვალიერებს თავის ძალებს, ახდენს მის დემონსტრაციას და ანახვებს მშრომელთა მასების ყველა დაუნდობელ მტრებს, რომ მშრომელი ახალგაზრდობა მუდამ თავის უფროს ძმებთან არის ბრძოლის პირველ რიგებში და ყოველგვარ დახმარებას უწევს მათ ახალი, მუშებისა და გლეხების ქვეყნის მოსაწყობათ და ასაყვავებლათ. ის ანახვებს ყველა ჯურისა და ხარისხის კონტრ-რევოლიუციონერებს, რომ საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობა და უნდობელი და შეურიგებელი მტერია იმ ვაჟბატონების, რომლებსაც იმდენი გამბედაობაც კი შესწევთ, რომ ატარონ სოციალისტის და რევოლიუციონერის სახელწოდება სასპეკულიაციოთ საქართველოს მუშათა და გლეხთა მასებში.

მეორეთ, ის ერთგვარ ჯამს გაუკეთებს ახალგაზრდობის კავშირის წარსულ მუშაობას და მოღვაწეობას კავშირის პირველ ყრილობის დასრულებიდან და აღნიშნავს და გაარჩევს იმ დეფექტებს თუ ნაკლებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ქონდა მის მუშაობაში. ამასთანავე ისარგებლებს წარსულს გამოცდილებით და მის გაკვეთილებზე ააგებს ახალ სამოქმედო გეგმას, როგორც კავშირის იდეურათ და პოლიტიკურათ გაძლიერებისათვის, ისე მისი გავლენის გასაფართოებლათ მშრომელთა უპარტიო მასებზე. ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მშრომელთა ახალგაზრდობის შრომის დაცვის საქმეს ჩვენში ეკონომიურ პოლიტიკის ახალ კურსთან დაკავშირებით და მის უპარტიო მასების კულტურულათ ამაღლებისათვის.

ჩვენ ვიმედოვნებთ რომ კავშირის ეს მეორე ყრილობა ღირსეულათ დაასრულებს თავის მუშაობას კავშირის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.

ფლამანდიელ ემიგრანტის

ღია წერილი ბ-ნ ვანდერველდეს

როდესაც ბერლინში იმართებოდა სამივე ინტერნაციონალის 3 აღმასკომის სხდომები, ვანდერველდეს ერთერთ ყოფილმა ამხანაგთაგანმა, მიმართა მას პრესაში ღია წერილით. მოგვყავს ამ წერილიდან ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები:

„ბ-ნო ვანდერველდევ! ჩემო ყოფილო ამხანაგო,—ასე იწყებს თავის წერილს მისი ფლამანდიელი ამხანაგი,—თქვენმა გამოსვლამ სამივე ინტერნაციონალის კონფერენციაზე, აღადგინა ჩემ მეხსიერებაში მოგონებანი იმ დროების შესახებ, როდესაც თქვენ მოგზაურობდით ბელგიის ქალაქებსა და სოფლებში, ეწეოდით ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას და სასტიკად ილაშქრებდით მილიტარისტების უაზრობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ“. „მაგრამ, ეხ, განაგრძობს ავტორი თავის წერილს,—რატომ ჩემი მოგონებანი არ სწყდებიან ჩვენი საერთო მუშაობის ამ პერიოდზე? აი, კვლავ გხედავთ თქვენ, ბატონო ვანდერველდევ, 1914 წლის აგვისტოში. **და თქვენ, რომელიც ქადაგობდით ომს ომისავე წინააღმდეგ, თქვენ, რომელიც ქადაგობდით პროლეტარიატის უწმინდეს მოვალეობაზე, ყოველგვარად ხელი შეეშალათ საერთაშორისო სისხლის ღვრისათვის, თქვენ, ბატონო ვანდერველდე, 1914 წელში პირველმა არ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.** თქვენ მოიქეცით წინააღმდეგ იმისა, რასაც გავალებლათ თქვენ თქვენივე მოვალეობა.

თქვენ მოუწოდებთ პროლეტარიატს დაიცავს თავისი სამშობლო. თქვენ **ხდებით ერთგულ მონა მოხამსახურეთ ბურჟუაზიისა, სახელმწიფოსა, იმპერიალისტური ანტანტისა! თქვენ ხდებით მიხი უდიდებულესობის მეფე ალბერტ I-ს ბეჭედის შემნახველად და შემდეგ მონაწილეობას იღებთ ყაჩაღურ ვერსალის ხელშეკრულების დადებაში.** ამ ჟამად თქვენ გამოდიხართ უფლების დამცველად ერებისა, დემოკრატიისა, ადამიანისა და მოქალაქის უფლებისა, იმ საქართველოს დასაცავად, რომლის „დამოუკიდებლობასაც“ ბაქოს ნავთის გულისთვის იცავდენ ინგლისის ზარბაზნები. სწორედ იმ სოციალისტური საქართველოს დასაცავად, რომლის მმართველებმა ცეცხლითა და მახვილით გაიარეს მთელ თავის ქვეყანაში და ყველა ციხეები აავსეს დაპატიმრებული კომუნისტებით. **თქვენ გამოდიხართ დამცველად კონტრ-რევოლიუციის სოციალისტებისა, რომელნიც ილაშქრებდენ და ილაშქრებენ დღესაც რევოლიუციის წინააღმდეგ იარაღითა და საწამლავით ხელში.**

მაგრამ თქვენი აღშფოთების ხმას ფარავს აღშფოთების ხმა ასეულ რევოლიუციონერებისა, რომელთაც თქვენი დადგენილებით, ბატონო ვანდერველდევ, ან აპატიმრებდენ, ან ახახლებდენ სახელმწიფოს საზღვრებიდან ან და სიცოცხლეს ახალმებდენ.

ნება მომეცით, მოქალაქე ვანდერველდევ, მეორე ინტერნაციონალის წევრო, აღვადგინო თქვენ მეხსიერებაში ზოგიერთი ამბები:

როდესაც თქვენ დაბრუნდით ბრიუსელში, როგორც იუსტიციის მინისტრი, ე. ი. როგორც სახელოვანი დამცველი ბელგიის ბურჟუაზიის ცეცხლ წაკიდებული ყუთებისა, თქვენ დააპატიმრეთ, პატარა სახელმწიფოში, 1,500-ზე მეტი ფლამანდიელები, რომელთა მთელი დანაშაულიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი მოითხოვდენ ავტონომიას ფლანდრიისათვის, სოციალისტები, რომელნიც სცდილობდენ დასდგომოდენ იმ გზას, რომელიც დაისახა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და გლეხები, რომელნიც დამნაშავენი იყვნენ მხოლოდ იმაში, რომ გერმანელთა ოკუპაციის დროს, ისინი ყიდდენ გერმანელებს თავიანთ ძროხებზე. და ყველა ეს სოციალისტები, ავტონომისტები და გლეხები დააყენეს კანონის ერთი და იგივე პარაგრაფის ქვეშ: მათ ბრალი დასდვეს მტერთან კავშირის დაჭერაში.

ბევრმა ბრალდებულთაგანმა შესძლო გაქცეოდა სასამართლოს; სამაგიეროთ ვინც კი დარჩა, იმათგანს **ზოგს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა ქონების ჩამორთმევით ან-და სამუდამოთ დაპატიმრება. ჟურნალისტებიც დასაჯეს სიკვდილით.** ხოლო სასამართლოს პროცესის დაწყებამდე ეს ბრალდებულები, მრავალი თვეების განმავლობაში, მოთავსებულნი იყვნენ ციხეებში.

ამგვარ ფაქტების ათასეულ რიცხვიდან მე მაგონდება ზოგიერთი შემთხვევები: იოსებ, ვანო—ეხტერგეიმი, მჭედავი, ოცი წლისა, დაპატიმრებულ იქნა ანტვერპენში, აქტიური რევოლიუციონური მოქმედებისათვის. მისი დანაშაულობათა ფიალა აივსო მაშინ, როდესაც სასამართლოში, ყველა მსაჯულთა წინაშე, იგი ალტაცებით გაიძახის „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“! მას აძლევენ 20 წლის ციხეს. არტურ ლიბრეხტს, 81 წლის მოხუცს, ანტვერპენის პროფესორს, მიუსაჯეს 18 წლის ციხე იმისათვის, რომ მან საზოგადო კრებაზე აშკარად მოითხოვა ფლანდრიის ავტონომია.

ფლამანდიელების პარტიის ლიდერს, ავგუსტ გორას, მიუსაჯეს სამუდამო ციხე.

პოლიტიკურ ტუსაღს ჟან გენოს, პოლიციამ არ დართო ნება დასწრებოდა თავისი ცოლის გასვენებას. მცირეოდენი ხნის შემდეგ გენომ ციხეში განუტევა სული.

როზა გუტენერს, პაციფისტკას, მიუსაჯეს სამი წლის ციხე „პორაჟენცული“ პროპაგანდისათვის.

და ამგვარ შემთხვევების ჩამოთვლა, ბატონო ვანდერველდე, მე შემიძლია დაუსრულებლივ.

და გერმანიის მუშებმაც 1920 წლის თებერვლიდან ნათელი წარმოდგენა მიიღეს თქვენი დემოკრატიული პოლიტიკის ჭეშმარიტ შინაარსზე, როდესაც ბელგიის საოკუპაციო ჯარებმა მერსეში, მუშათა გაფიცვის დროს, ესროლეს ამ უკანასკნელთ, რომლის დროსაც, იქვე, სიცოცხლეს გამოასალმეს 20 მუშა.

დიახ, ასე და ამრიგათ, თქვენ გადადგომამდის, ბელგიის მეფის იუსტიციის მინისტრისა, თქვენი ქვეყნის ციხეები გაჭედილი იყო დაპატიმრებულებით. და ამიტომაც მე მოვითხოვ, რომ კონფერენციის მიერ არჩეული კომისია შეუდგეს საქმეების გამოძიებას ბელგიაში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თქვენ იუსტიციის მინისტრის თანამდებობა გეჭირათ.

როგორც ცნობილი ვექილი დემოკრატიისა, ჰუმანიზმისა და სოციალიზმისა, ხომ არ დაუჭერთ თვითონ თქვენ, ბატონო ვანდერველდე, მხარს ამ ჩემ მოთხოვნილებას?“

(Imprekor).

* * *

რადიო-დეპეშები

გენუის კონფერენციის შემდეგ

ბერლინი. 2 ივნისი (რადიო). ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ მას არ სურს მიიღოს მონაწილეობა ჰააგის თათბირში. სტატ. სეკრეტარ იუზს განზრახული აქვს მიმართოს ნოტით დიპლომატიურ კორპუსს ამ საკითხის შესახებ. ამ ნოტაში ამერიკის მთავრობა შეჩერდება განსაკუთრებით საკითხის ეკონომიურ მხარეზედ.

ნაუენი. 2 ივნისი რადიო. სენატორი ბორახი გამოსთქვამს სურვილს ჰააგის თათბირში ამერიკის მონაწილეობის შესახებ. სენატში გამოსვლის დროს, ბორახი კვლავ ხაზს უსვამს საბჭოთა რუსეთის ცნობის აუცილებლობას.

ვარშავა. 23 მაისი. „რეჩპოსპოლიტის“ ნიუიორკის კორესპონდენტი სწერს, ამერიკის მთავრობის მახლობელ წრეებს მაინც ჰგონიათ, რომ ამერიკა მიიღებს მონაწილეობას ევროპის აღდგენის გეგმების გამომუშავებაში იმდენად, რამდენადაც მას მიეცემა გარანტია იმისა, რომ ჰაგის თათბირი თავის მუშაობის განმავლობაში სრულებით არ შეეხება პოლიტიკურ საკითხებს. ვაშინგტონში განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობიან მომავალ ეკონომიურ რეფორმებს და კერძოთ აუცილებლად საჭიროთ სთვლიან ოქროს ვალიუტის ხელახლა შემოღებას.

საფრანგეთის მემორანდუმი.

ბორდო. 1 ივნისი რადიო. „პტი პარიზიენის“ ცნობით, პუანკარე ატყობინებს ფაქტას, რომ ის მიიწვიეს ჰააგის თათბირში მონაწილეობის მისაღებად. პუანკარე დასძენს, რომ საფრანგეთი საბოლოო პასუხს ამის შესახებ აცნობებს მხოლოდ კონფერენციის პროგრამის გაცნობის შემდეგ. ამის შესახებ საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პუანკარეს განზრახული აქვს მიმართოს ჰააგის თათბირის ყველა მონაწილე სახელმწიფოებს ისეთივე მემორანდუმით, რომელიც დაგზავნილი იყო 9 თებერვალს გენუის კონფერენციის შესახებ. ყოველ შემთხვევაში აქამდე დაახლოებითაც კი არ შეიძლება ითქვას, მიიღებს თუ არა საფრანგეთი მონაწილეობას ჰააგის თათბირში. მოსალოდნელათ სთვლიან, რომ საფრანგეთის მთავრობა იმ პირობით მიიღებს მონაწილეობას თათბირში, თუ საბჭოთა მთავრობა უარს იტყვის თავის გადაწყვეტილებაზე ზოგიერთ განსაკუთრებულათ შეურიგებელ საკითხების შესახებ.

მტაცებლური ზრახვები.

ბერლინი. 23 მაისი. „როტე ფანე“, იხილავს გენუის კონფერენციის შედეგებს და სწერს: მომავლის საკითხმა სახელდობრ—კაპიტალისტურ ქვეყნების დამოკიდებულების საკითხმა პირველ პროლეტარულ სახელმწიფოსთან ე. ი. რუსეთთან, გენუის კონფერენციაზე ვერ ჰპოვა გადაწყვეტილება. კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა ვერც კი გაიგეს ამ საკითხის არსი. ჯერ ეგონათ, რომ მათ შეუძლიათ მოეპყრონ საბჭოთა რუსეთს, როგორც ჩინეთს, შემდეგ დარწმუნდნენ რა ასეთ პოზიციის უნიადაგობაში მათ სცადეს უბრალო ფრაზეოლოგიაში გაეხვიათ თავიანთი კოლონიზატორული და მტაცებლური ზრახვანი საბჭოთა რუსეთის მიმართ. იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად ვერ შეიგნეს მათ, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება ახალ ისტორიულ ეპოქის დაწყებას მოასწავებს, საკმარისია ლოიდ ჯორჯის განცხადება, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თავი უნდა დაანებონ საბჭოთა რუსეთის იარაღით დაპყრობის განზრახვებს; ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ უარი უნდა სთქვას დასავლეთ ევროპის კერპთაყვანისმცემელთა ჭეშმარიტების გზაზე დაყენების მისიაზე თავის მისიონერების საშუალებით. თითქოს, სწერს შემდეგ „როტე ფანე“ ისტორიის მსვლელობამ შეიძლება მიიღოს ესა თუ ის მიმართულება იმისდა მიხედვით—მოვლენ ევროპაში რუსეთის კომუნისტები თუ არა.

დააჩქარეთ!

ბერლინი. 23 მაისი. გერმანიის მსხვილ წარმოების ორგანო „დიიტრე ბერგვერს ცეიტუნგი“, რომელიც გამოდის ესენში, დაჟინებით ურჩევს გერმანიის საქმიან წრეებს, ნუ დარჩებიან გულხელ დაკრეფილნი გენუის ან ჰააგის კონფერენციების შედეგების მოლოდინში. ანტანტის და რუსეთის შორის მოლაპარაკება კიდევ კარგა ხანს გასტანს.

გერმანიის საქმიანმა წრეებმა, რომელთაც დაანებეს თავი პოლიტიკურ დოქტრინიორულ კამათს პრინციპების სისწორის თუ არა სისწორის შესახებ, უნდა აირჩიონ თავისი გზა და რაც შეიძლება მალე ახალ სანავოსნო პერიოდის დაწყების გამო, შეუერთდენ რუსეთის სამეურნეო ცხოვრების ინტერებს. გაზეთები სხვათა შორის ილაშქრებენ რუსეთში კერძო საკუთრების კაპიტალისტურ უფლების აღდგენის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ხელს შეუშლიდა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი, თუ გერმანია შეუერთდებოდა ანტანტის მოთხოვნილებებს.

შეულამაზებელი ჭეშმარიტება.

ბერლინი. 23. მაისი (რადიო). სახალხო პარტიის ორგანო „ცეიტი“ იძლევა გენუის კონფერენციის უკანასკნელი სხდომის ვრცელ შეფასებას. გაზეთი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთმა ჩიჩერინმა გაბედა შეულამაზებელ სიმართლის თქმა. თავის სიტყვაში ჩიჩერინი შეეხო ყველა სააშკარაოზე ამოტივტივებულ სისაძაგლეთ, უსამართლობათ და გამოარკვია წინააღმდეგობა მოკავშირეთა საზეიმო დაპირებებსა და კონკრეტიულ მოქმედებათა შორის.

ირლანდიის ამბები.

გაფრთხილება ინგლისის მიერ.

ბერლინი. 2 ივნისი (რადიო). ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა: დევალერას ეცნობა, რომ ბრიტანეთის მთავრობა იტოვებს მოქმედების სრულ თავისუფლებას სამხრეთ-ირლანდიის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ დე-ვალერა არ იცნობს დადებულ ხელშეკრულებას და არ შევა სამხრეთ ირლანდიის მთავრობის შემადგენლობაში.

დამოუკიდებელი ირლანდია.

ლიფილდი. 24 მაისი. ინგლისური პრესის ცნობებით, უნდა ველოდეთ, რომ ახლო მომავალში ირლანდიის პარლამენტი წაუყენებს დიდი ბრიტანეთის მთავრობას მოთხოვილებებს რათა ირლანდია იცნონ არა მარტო სუვერენულ სახელმწიფოდ, არამედ დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

— ულსტერის მთავრობა დაადგა გადამწყვეტ ზომების გზას სინფეინერებთან ბრძოლაში. ბელფასტაში და ულსტერის სხვა ადგილებში დაატუსაღეს 1500 სინფეინერების ოფიცრები, რომელთა რიცხვში აღმოჩნდენ გამოჩენილი ლიდერები. დატუსაღებულები მოთავსებული იქნებიან სამხედრო ბანაკში სასტიკი თვალყურის დევნებით.

კლასიური ბრძოლა ირლანდიაში.

ლონდონი. 21 მაისი. სამოქალაქო ომი ირლანდიაში ღებულობს კლასობრივ ბრძოლის ხასიათს. მუშებმა დაიკავეს მთელი რიგი ფაბრიკებისა სამხრეთ ირლანდიაში მეპატრონეთა მოთხოვნილების საპასუხოდ, სამუშაო ქირის შემცირების შესახებ. ქალაქ როსკრეაში მუშები დაადგნენ რევოლიუციონურ გზას. კომუნალური საბჭო გამორეკეს თავის შენობიდგან და გამოაცხადეს ირლანდიის მუშური რესპუბლიკა. ქალაქში ძალა უფლება მუშების ხელშია.

მღელვარება იტალიაში

ნაუენი. 2 ივნისი (რადიო). ფრანგული გაზეთების ცნობებით, ბოლონში მომხდარ უწესოების ინიციატორები იყვნენ ფაშისტები, რომლებიც ჩამოვიდნენ ჯგუფებად პროვინციიდან. ფაშისტებმა დასწვეს რამდენიმე სახლი და შესწყვიტეს ტელეგრაფის კავშირი. იტალიის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალულია რკინის და სხვა გზებზე პროვინციებიდან მასიურად მგზავრების გადაყვანა.

რომი. 2 ივნისი (რადიო). ბოლონში წარვლინებულია სენატორი ვილიანე ქალაქის მდგომარეობასთან გასაცნობად. ვილიანე დაბრუნდება რომში 3 ივნისს. მიღებულ ცნობების თანახმად ბოლონის მდგომარეობა არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს. დანარჩენ ნაწილებში სრული სიწყნარეა.

მუშების გაფიცვა.

ბორდო. 3 ივნისი (რადიო). იტალიის მუშებმა უარი განაცხადეს ქარხნების მეპატრონეთა წინადადებაზე შრომის ხელფასის განაკვეთის დაკლების შესახებ. ლომბარდში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა.

იტალია-გერმანიის ხელშეკრულება.

რომი. 2 ივნისი (რადიო). დამთავრებულია მუშაობა იტალია-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების წინასწარ შედგენისათვის.

ამ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ ივნისის შუა რიცხვებში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ამერიკა და ჰააგა.

ჰანოვერი. 1 ივნისი (რადიო ხარკოვზე). ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა იტალიის პრემიერს—ფაქტას, რომ ამერიკა საბოლოოდ უარს ამბობს ჰააგის თათბირში მონაწილეობის მიღებაზე; უარის მოტივათ მოყვანილია ის გარემოება, რომ ჰააგა გენუის გაგრძელება იქნება.

ინგლისი და რეპარაციონური მოთხოვნილებანი.

ლიფილდი. 1 ივლისი (რადიო). გუშინ თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა წარმოსთქვა სიტყვა რეპარაციების შესახებ. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა სინდისიერათ სცდილობს დააკმაყოფილოს რეპარაციონური მოთხოვნილებები, ამიტომ ის ღირსია დახმარების. „შეუსრულებლობის“ პოლიტიკა დამღუპველი იქნებოდა პოლიტიკურად თვით გერმანიისთვის. მაგრამ, ზედმეტია ლაპარაკი იმაზედ, რომ საფრანგეთმა იმოქმედოს მარტო, რადგან მარტო მას არ მოუწერია ხელი ვერსალის ხელშეკრულებაზე, ამისათვის საფრანგეთმა თავისი მოქმედება დანარჩენ მოკავშირე სახელმწიფოთა მოქმედებას უნდა შეუთანხმოს. ინგლისი იცავს ზომიერების და „შესრულების“ პოლიტიკას.

ჰანოვერი. 1 ივნისი (რადიო ხარკოვზე). **ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, ლოიდ ჯორჯის სიტყვის, რომელიც რეპარაციებს შეეხებოდა, შემდეგ გამოვიდა ლორდ ხესილი, რომელმაც სთქვა, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოებმა ისეთი მძიმე ტვირთი დააკისრეს დამარცხებულ გერმანიას, რომელიც ყოველ ხალათ მოაზროვნე ადამიანისათვის წრეს გადახულათ უნდა იქნეს მიჩნეული. ხესილის აზრით საჭიროა რეპარაციის პირობების შემსუბუქება.**

ნაუენი. 1 ივნისი. (რადიო ხარკოვით). თემთა პალატაში რეპარაციების საკითხის გარშემო კამათის დროს კენვორტმა აღნიშნა გერმანიაში მოკავშირე ოკუპაციონურ ჯარების შესანახი აუარებელი ხარჯები. კენვორტის წინადადებით ეს ხარჯები უნდა გადატანილი იქნეს პირდაპირ რეპარაციონურ საჭიროებებზე.

ჰანოვერი. 1 ივნისი. (რადიო ხარკოვით). ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატაში წარმოთქმულ გუშინდელ სიტყვაში სთქვა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის რომელიმე მათგანის ცალკე გამოსვლა არა სასურველ შედეგებს იქონიებდა და მოკავშირეთა შორის „გულითად თანხმობას“ დაარღვევდა. ლოიდ-ჯორჯი გამოსთქვამს სურვილს, რომ რეპარაციონული შეთანხმება მისაღები იქნება როგორც მოვალისთვის, ისე კრედიტორებისათვის.

ლენინი თუ ჩიჩერინი?

პარიზი. „ტანი“ სვამს შემდეგ საკითხს: „ბოლოს და ბოლოს ვინ ხელმძღვანელობს რუსეთის საგარეო პოლიტიკას“. ჩიჩერინი და გენუის კონფერენციის დანარჩენი წევრები, თუ ლენინი? ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩიჩერინის და ლენინის სიტყვებ შორის არსებობს სერიოზული წინააღმდეგობა. ის რასაც ჩიჩერინი აცხადებდა გენუის კონფერენციაზე, და რაც აიძულებდა ლოიდ-ჯორჯს ამ სიტყვებისათვის დაეგდოყური დ კომპრომისზედაც კი წასულიყო, სრულებით არ ეთანხმება ლენინის გრანდიოზულ გეგმებს და ოცნებებს. ლენინმა რუსეთის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც, „როტე ფანეს“ გადმოცემით, სრულებით აშკარათ და ლენინისთვის ჩვეულ სიმტკიცით და აზრის სინათლით გამოსთქვამს ბოლშევიკების განზრახვებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის დახრჩობის და ალაგმის შესახებ. როგორი იქნება ყოველივე ამის შედეგი: დასავლეთ ევროპის მწარმოებლები და ტეხნიკოსები, კონცესიების, მოგების და სხ. იმედებით გატაცებულნი აეგებიან მოსკოვის კომუნისტების ანკესზედ. ასეთია მოსკოვის პოლიტიკა ფაქტიურად. ჩიჩერინი სერიოზულად ლაპარაკობს ურთიერთ დათმობებზე, შეთანხმებაზე და სხ. რომელი პოლიტიკა არის რეალური და ნამდვილი, რომელი პოლიტიკა არის დამახასიათებელი მოსკოვისათვის? ვის უნდა ერწმუნოს ევროპა, ლენინს თუ ჩიჩერინს? მაშინ, როდესაც ამ პოლიტიკის განხორციელება სიტყვებიდან საქმეზედ გადავა, რომელი პოლიტიკა იქნება ძალაში და ვინ შესძლებს აიძულოს მოსკოვი გაატარებინოს ცხოვრებაში ჩიჩერინის სიტყვები? აი ის ბუნებრივი და საფრთხილო საკითხები, რომლების წინასწარ გადაწყვეტა საჭიროა—იმ საერთო საკითხების სასწრაფოთ გადაჭრისათვის, რომლებიც აღელვებენ მთელ ევროპას.

რუსეთ-გერმანიის ამხანაგობა.

ბერლინი. „როტე ფანე“ იტყობინება, რომ მოსკოვში დაარსდა რუსეთ-გერმანიის მშრომელთა ამხანაგობა: ამხანაგობის მიზანია—რუსეთ-გერმანიის ეკონომიურ კავშირის აღდგენისთვის ხელის შეწყობა. ამის გამო „როტე ფანე“ სწერს: ასეთ ამხანაგობის დაარსება უსათუოდ სასიამოვნო მოვლენაა. ამხანაგობის წესდებიდან და მის დამაარსებელთა სიტყვებიდან სჩანს, რომ ეს ამხანაგობა შეეცდება მომავალში გამოიყენოს რუსეთი, როგორც სასოფლო-მეურნეობის ქვეყანა სუსტად განვითარებული წარმოებით, ე. ი. როგორც ნედლი მასალის მიმწოდებელი. თუ დაარსებულ ამხანაგობას ნამდვილად განზრახული აქვს ამ მიმართულებით მუშაობა, მაშინ რა თქმა უნდა მას იმედები გაუცრუვდება. რუსეთმა სულ ახლო მომავალში უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება არა მარტო ნედლი მასალის დაგროვებას არამედ თვისი წარმოების აღდგენა-გაფართოვებას.

ეგვიპტეს კონსტიტუცია.

პარიზი, „მატენი“ აქვეყნებს ქაირიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიაც მოყვანილია ეგვიპტეს კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთი ადგილები. პროექტის თანახმად, ეგვიპტეს ხელისუფლება დაყოფილია მეფისა და პარლამენტის შორის. საპარლამენტო არჩევნებისათვის შემოღებული იქნება ორხარისხიანი საარჩევნო უფლება შემდეგი საზომით; ყოველ 75000 მცხოვრებს აქვთ უფლება აირჩიონ ერთი დეპუტატი. სენატი შედგენილი იქნება 80 წევრისაგან, აქედან ნახევარი მთელი რიცხვისა ინიშნება მთავრობის მიერ, ხოლო დანარჩენი ამორჩეული იქნება სამხარისხიანი საარჩევნო უფლების საშუალებით. სენატორები ირჩევიან 10 წლით, დეპუტატები ხუთი წლით. დანიშვნითი წესით სენატორებად შეიძლება დაინიშნონ ყოფილი მინისტრები, უმაღლეს სასულიერო წოდების პირნი, და ან ის პირნი, რომელნიც ათი წლის განმავლობაში ატარებდენ დეპუტატების წოდებას. სენატორებად შეიძლება არჩეულ იქნან ის პირნი, რომელთა წლიური შემოსავალი არის არა ნაკლები 1000 ეგვიპტური ლირა.

საერთაშორისო საფინანსო კონფერენცია.

ბორდო. 2 ივნისი. (რადიო) პარიზში გაიმართა საერთაშორისო საფინანსო კონფერენციის პირველი პლენარული სხდომა. კონფერენციამ განიხილა ფულის ტრიალის საკითხი და გამოსთქვა სრულიად გარკვეული სურვილი ქაღალდის ფულის გამოშვების შემცირების შესახებ. აგრეთვე გადაწყდა წინადადება მიეცეთ ყველა სახელმწიფოებს მტკიცედ დაიცვან საბაჟო პოლიტიკა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს დადებულ

ხელშეკრულებათა სიმტკიცე და ხანგრძლივობა.

ვარშავა. 3 ივნისი. გაზ. „რეჩ პოსპოლიტას“ ცნობების თანახმად, მორგანი ამერიკის სახელით მოითხოვდა ქაღალდის ფულის ტრიალის შემცირებას პროექტის ფაქტიურად გატარებას. მორგანი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ეს ღონისძიება ყველაზე ადრე გავრცელებულიყო გერმანიაზე.

საკონტრიბუციო პრობლემა.

ბერლინი. 2 ივნისი. თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მისი ეჭვები გერმანიის საკონტრიბუციო ვალდებულებებისადმი გათავდა. მრავალ შინაგან დაბრკოლებათა მიუხედავად მოკავშირეთა აზრით, გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს საზავო ხელშეკრულების დასაცავად. გერმანიის მთავრობა ღირსია პატივისცემისა და ყურადღებისა. ვესტმინსტერი გაზეთი იწონებს ლოიდ-ჯორჯის ზომიერ პოლიტიკას და იმედოვნებს, რომ მოკავშირეთა მასის ყოველგვარი გაუგებრობა გერმანიის საკითხის გარშემო მომავალში თავიდან იქნება აცილებული.

ლონდონი. 2 ივნისი. ლორდ-რობერტ-სესილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ საკონტრიბუციო კითხვა მეტის მეტად გაბერილია, რის წყალობითაც ევროპის პოლიტიკა აუტანელ სიმძიმეს განიცდის.

ნაუენი. 2 ივნისი. გერმანიისათვის სესხის მიცემის პირობების შესამუშავებელ კომისიის წევრმა ჰოლანდიის ბანკირმა ვეისერინხმა განაცხადა, რომ ვერსალის ხელშეკრულების სიმძიმე აღემატება გერმანიის ძალებს.

ნაუენი. 2 ივნისი. პარიზიდან მოსულ ცნობების თანახმად საკონტრიბუციო კომისიაში პუანკარემ შეიტანა წერილობითი პროტესტი გერმანიის მთავრობის უკანასკნელი ნოტის გამო. „პტი-პარიზიენი“ ირონიულად უწოდებს ამ პროტესტს პლატონიურს და იაფ-ფასიან მანიფესტაციას, ვინაიდან საფრანგეთის მთავრობამ უკვე მიიღო საკონტრიბუციო კომისიის დადგენილება.

ბორდო. 2 ივნისი. ფრანგულ გაზეთის ცნობებით საფრანგეთის მთავრობამ მიაქცია საკონტრიბუციო კომისიის ყურადღება გერმანიის მთავრობის უკანასკნელ ნოტის ზოგიერთ საეჭვო მუხლებს. კერძოთ გერმანიის მთავრობა ეკითხება რა ფორმებში ჩამოისხმება საერთაშორისო კონტროლი და მოითხოვს, რომ გერმანიის ბიუჯეტში შეტანილ იქნეს საკონტრიბუციო გადასახადიც.

საფრანგეთის კონტროლი საზიანოა.

ნაუენი. 2 ივნისი. გერმანიის პრესა აღნიშნავს ფაქტების მთელ რიგს, რომელიც მტკიცდება გენერალ პოლეს მიერ, და რომელიც ამტკიცებს, რომ მოკავშირეთა ოფიცრების კონტროლს გერმანიაში მოაქვს მხოლოდ ზიანი.

დ’ანუნციოს მოქმედება.

რომი. 1 ივნისი, (რადიო). დ,ანუნციო აწარმოებს ენერგიულ პროპაგანდას, რომლის მიზანიც არის იტალიისა და ევროპის დამშვიდება. დ’ანუნციოს მოქმედების გეგმა ძალიან პრიმიტიულია: იგი სცდილობს გააერთიანოს ნაციონალიზმი, სინდიკალიზმი და სოციალიზმი, დაჩაგრულ ერების განსათავისუფლებლად. ფიუმეში ავრცელებენ დ’ანუნციოს მიერ ხელმოწერილ პროკლამაციებს, რომელშიც ნათქვამია, რომ შრომის უფლება ინდა იყოს წმინდათ დაცული და რომ შრომა უნდა ბატონობდეს საკუთრებაზე. დ’ანუნციო სცდილობს გარს შემოიკრიბოს ბევრი თანა მოაზრე, რისთვისაც მან კავშირი დაიჭირა მეზღვაურებთან და მოლაპარაკებას აწარმოებს მუშათა ორგანიზაციების ლიდერებთან. ამავე მიზნით მან მოლაპარაკება გამართა ჩიჩერინთან, რომელიც მხოლოდ ერთხელ ინახულა.

ავსტრიის ფინანსიური დახმარება.

ნაუენი. 2 ივნისი, (რადიო). საფრანგეთის სენატის გარეშე საქმეთა კომისიამ მოიწონა ავსტრიისათვის 55 მილიონი ფრანკის სესხის მიცემის პროექტი. სესხის მთავარი მიზანია ხელი შეუშალოს ავსტრიის გერმანიასთან დაახლოვებას.

იაპონელების ევაკუაცია.

ბორდო. 2 ივნისი, (რადიო) გაზეთ „ტან“-ის ცნობით გონ-კონკიდან გაიყვანეს იაპონელების გარნიზონი.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

პარიზი. 2 ივნისი, (რადიო). დეპუტატთა პალატის ხუთშაბათის სხდომაზე, ვრცელი სიტყვა, მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, წარმოსთქვა პუანკარემ. სიტყვის პირველი ნაწილი შეეხებოდა გერმანიას. პუანკარემ მოიყვანა ცნობები ზემოსილეზიის შესახებ, მოაგონა დეპუტატებს შემთხვევები საფრანგეთის ჯარებზე თავდასხმისა და განაცხადა: სანამ გერმანია არ დასთანხმდება არსებითად დაეხმაროს საფრანგეთს დამნაშავეთა აღმოჩენის საქმეში, ჩვენ უფლება გვექნება ეჭვები შევიტანოთ გერმანიის მთავრობის გულწრფელობაში. თავის სიტყვაში პუანკარე გაკვრით შეეხო ახლო-აღმოსავლეთის საკითხს და აღნიშნა, რომ საფრანგეთის კატეგორიული სურვილია მცირე აზიაში, რაც შეიძლება დაჩქარებით, მშვიდობიანობის აღდგენა. გადავიდა რა გენუის კონფერენციაზე, პუანკარემ განიმეორა მრავალჯერ გადაღეჭილი ფრაზა, რომ საფრანგეთი სრულებითაც არ სცდილობდა კონფერენციის ჩაშლას და ამის დასამტკიცებლად მან გამოაქვეყნა ის ინსტრუქციები, რომელიც თავის დროზე მიეცა საფრანგეთის დელეგაციას გენუაში. დასასრულ, პუანკარე შეჩერდა საკონტრიბუციო პრობლემაზე და ხელმეორედ განიმეორა, რომ საკონტრიბუციო გადახდათა თავის დროზე შეტანას უნდა უცქეროდეთ, როგორც უპირველეს და აუცილებელ პირობას იმ ევროპის აღდგენისას, რომლისაგანაც საფრანგეთი მოელის დახმარებას მისთვის ამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საქმეში.

საბერძნეთში.

ბორდო, 2 ივნისი (რადიო). მცირე აზიის ბერძნების ჯარების გენერალისიმუსი გენერალი პაპულასი გადადგა. გაზეთ „ტან“-ის ცნობით მის თანამდებობაზე დანიშნული იქნება გენერალი პოლიმენაკოსი.

რევოლიუციონური რელიკვია.

პარიზი, 2 ივნისი (რადიო). ბერლინის ტრიბუნალმა გაარჩია როზა ლიუქსემბურგისათვის საათის მოპარვის საქმე. ქურდობაში ბრალს სდებდენ ლეიტენანტ კრულს. ბრალდება დამტკიცებულ იქნა და ლეიტენანტ კრულს მიუსაჯეს 3 თვის ციხე. გაქურდვაში მონაწილე დააჯარიმეს 300 მარკით.

ავსტრიაში.

რომი. 2 ინვნისი, (რადიო). ავსტრიის ეროვნულმა კრებამ ამოირჩია ახალი მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ფონ სეიპოლი, რომელიც გლეხურ სოციალისტების პარტიის წევრია.

ლატვიის ცნობა.

რომი. 2 ივნისი (რადიო). საბერძნეთის მთავრობამ ოფიციალურად იცნო სუვერენიტეტი ლატვიისა და ლიტვიის სახელმწიფოებისა.

ჩეხია.

მოსკოვი. 2 ივნისი. (რადიო). ჩეხიის დეპუტატთა პალატამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა პრემიერის მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ. ჩეხიის კომუნისტების ლიდერისადმი საპასუხო სიტყვაში, პრემიერმა განაცხადა, რომ იმან ისარგებლა გენუაში ყოფნით და მოლაპარაკება გამართა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

მესოპოტამია და ინგლისი.

მოსკოვი 2 ივნისი. (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან: მესოპოტამიის მეფე მოითხოვს მესოპოტამიაზე ინგლისის მანდატის გაუქმებას, ვინაიდან ინგლისის მანდატორობა მას მიაჩნია შეურაცყოფად.

სარეპარაციო კომისია.

მოსკოვი. 2 ივნისი. (რადიო). სარეპარაციო კომისია გააგრძელებს გერმანიის მარატორიუმს წლის ბოლომდე. სარეპარაციო საკითხის გარშემო საშიშროება აღარ არის. ხდება კრიზისის ლიკვიდაცია. უკანასკნელ დღეებში გერმანიის მარკამ შესამჩნევად აიწია.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში.

მოსკოვი. 2 ივნისი. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განაგრძო ვადა კანონისა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ გადასახადების აკრეფის შესახებ. ჩიტას დამშეულთა დამხმარე კომიტეტი გზავნის რუსეთის დამშეულ გუბერნიებში მესამე სამარშრუტო მატარებელს სურსათით.

ამსტერდამის ინტერნაციონალიდან გამოსვლა.

მოსკოვი. 2 ივნისი. ხრისტიანიიდან იტყობინებიან: სამუნიციპალო მუშაკთა ნაციონალურმა კონგრესმა ხმის დიდი უმრავლესობით გადასწყვიტა მიატოვოს ამსტერდამის ინტერნაციონალი და შეუერთდეს მოსკოვის პროფინტერნს.

ფაშისტები.

მოსკოვი. 2 ივნისი. ფაშისტებმა დაიკავეს ბოლონია და მოითხოვენ პრეფექტის გასვლას. გადაჭრილია სატელეგრაფო და სატელეფონო მავთულები. ფაშისტები მოქმედებენ მემამულეთა ჩაგონებით, რომელთა სურვილია მუშებისა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მოსპობა. აძლიერებენ რა ხელოვნურად უმუშევრობას, მემამულეები ფიქრობენ ფაშისტების დახმარებით დაუმორჩილონ მუშების ორგანიზაციები საკუთარ ინტერესებს და მათ მიერ ნაკარნახევ პირობებს

ესერების პროცესი

მოსკოვი. 3 ივნისი. (რადიო) გამოქვეყნებულია ესერების დამცველთა ჯგუფის განცხადება: „დაცვა საერთოდ არ არის შეთანხმებული მთლიანად. ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო ბ-ნ ვანდერველდე, როზენფელდებთან. ჩვენ ვთვლით მათ რევოლიუციის და პროლეტარიატის მტრებათ და არ ვთვლით საჭიროდ დავიცვათ რუსეთის ვანდეის ბანაკში მყოფნი. მხოლოდ, დამნაშავეთა შორის არის ისეთი ჯგუფი, რომელმაც შეიგნო თავის წარსულ მოღვაწეობის კონტრრევოლიუციონობა და ესერების ცენ. კომ. პოლიტიკის დანაშაულობა. ეს ჯგუფი პატიოსნურად გადავიდა რევოლიუციის და პროლეტარიატის მხარეზე. ამისთვის ჩვენ, ჩვენ რევოლიუციონურ მოვალეობათ ვთვლით, დავიცვათ ეს ჯგუფი“. ხელს აწერენ: ბუხარინი, ზორინი, ზნამენსკი, ტატანიანი, ოვსიანიკოვი, სტუკოვი, ტომსკი და ჩლენოვი.

კატანიანი და ოვსიანიკოვი იცავენ ყოფილ ესერ სემიონოვს, ეხლა რ. კ. პ. წევრს, რომელსაც ბრალი ედება რევოლიუციის ბელადების წინააღმდეგ ტერორისტულ აქტების ორგანიზაციაში. კონოპლიოვას, ეხლა რ. კ. პ. წევრს, იცავენ ტომსკი, ზნამენსკი და ჩლენოვი. ეფიმოვს, ძველ პოლიტიკურ კატორღელს, რომელმაც 1919 წელში გასწყვიტა კავშირი ესერებთან—იცავს კატანიანი. მუშა უსლოვს, (ეხლა რ. კ. პ. წევრს), რომელსაც ბრალი ედება ლენინის და ტროცკის წინააღმდეგ ტერორის ორგანიზაციაში, იცავს ოვსიანიკოვი. დამცველად გამოდის აგრეთვე კლარა ცეტკინი.

— ვანდერველდეს, როზენფელდის და სხ. დამცველთა შუამდგომლობის გამო, რევტრიბუნალმა გადასდო საქმის გარჩევა ორი დღით. პროცესი დაიწყება 8 ივნისს.

ს. რ. ც. აღ. კ. გადასინჯა საქმე ზლატოუსტის ესერების კონდრატიევის, ფილატოვის და სხ. საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლებში. ს. რ. ც. აღ. კ. მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებულები მუშებია და ესერთა პარტიის მორიგი ჩვეულებრივი წევრები, დაადგინა საქმე მათ შესახებ გაუქმდეს და დამნაშავენი განთავისუფლდენ.

საქართველოს „პატრიარქების“ „მუშაობა“

ჩვენ ვაქვეყნებთ შეუმოკლებლათ „სულიერი მწყემსის და საქართველოს პატრიარქის, მონის ღვთისა“, ამბროსის და მეორე მენშევიკური „პატრიარქის“, ბ. ნ. ჟორდანიას მოწოდებებს, რომლებითაც მათ მიმართეს გენუაში შეკრებილ იმპერიალისტებს.

ორნი არიან, ტოლნი არიან და მსოფლიოს ამწიოკებლებს და ამაოხრებლებს „უმღერიან“ ბოლშევიკური ჯარებისაგან „აწიოკებულ“ საქართველოზე ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან რა ბედი ეწვია „პატრიარქების“ მოწოდებებს...

«კულტუროსან კაცობრიობას, რომელიც წარმოდგენილია გენუის კონფერენციაზე, ამბროსი, მონა ღვთიისა, სულიერი მწყემსი და საქართველოს პატრიარქი, ღვთის სახელით, უგზავნის თავის სალამს.

ჯერ კიდევ ისტორიის წინა ხანებში, კავკასიის მთების კალთებზე, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ქართლოსიანთა შთამომავლობის ზოგიერთმა ტომებმა, დაარსეს სახელმწიფო, პატარა თავისი სივრცით, მაგრამ ძლიერი შედუღებული ნებისყოფითა და ზეგარდმოცხებული თავისი ნიჭიერებით, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელწოდებით და რომელიც რამოდენიმე საუკუნეთა განმავლობაში წინა აზიაში იყო ერთად ერთი პიონერი ქრისტიანული ცივილიზაციისა და ევროპის ჰუმანიური პრინციპებისა. მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველოს ერი, დასუსტებული გარეშე მტრებთან ბრძოლაში, თავისი ნებით შევიდა ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ იმ იმედით, რომ ეს მფარველობა დაეხმარებოდა მას თავისი ნაციონალური და პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებაში. ეს მოტივები აშკარად გამოსჭვივიან იმ ხელშეკრულების ტექსტიდან, რომელიც 1783 წელს დაიდო საქართველოს მეფე ერეკლესა და რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს შორის.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სამშობლოს გაუცრუვდა თავისი იმედები და იგი 117 წლის განმავლობაში წარმოადგენდა მსხვერპლს აღვირ ახსნილი დესპოტიზმისას და აუტანელი ჩაგვრისას რუსეთის ბიუროკრატიის მხრივ.

აი რატომ გამოაცხადა ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობა 1917 წელში, როდესაც დაირღვა ხელოვნურათ შეკოწიწებული რუსეთის იმპერია; იგი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი პოლიტიკური, ნაციონალური და სულიერი არსებობის აღორძინებას.

თუმცა ამ მუშაობას დიდი დაბრკოლებანი ეღობებოდენ გარეშე და შინაგან მტრების მხრივ, საქართველოს ხალხმა მაინც დაამტკიცა თავისი მაღალ-ნიჭიერება, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამი წლის შემდეგ კულტუროსანმა ევროპამ იცნო მისი დამოუკიდებლობა და ჩარიცხა იგი თავისიფალ და სუვერენულ სახელმწიფოთა შემადგენლობაში.

ცხადია, რომ ამის მოთმენა არ შეეძლო რუსეთს, რომელიც წინად საქართველოს ბრძანებელი და პატარა ერების ჩაგვრელი იყო. მან გამოგზავნა საქართველოს საზღვრებისაკენ თავისი ჯარები, რომელიც შემოიჭრა მის საზღვრებში საოკუპაციო მიზნებით და 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაადო სისხლით დაცლილ პატარა საქართველოს მონობის უღელი, რომლის მზგავსიც მას არ განეცადა თავის მრავალ საუკუნოებიან ისტორიის განმავლობაში.

მართალია, ეს მოძალადენი სცდილობენ დაუმტკიცონ ყველას, როგორც თვით თავისიანებს შიგნით, ისე გარეშე მყოფთაც, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველი ერი. მაგრამ ჩვენ, სულიერი მამა და ერთად-ერთი ჭეშმარიტი მწყემსმთავარი, რომლის ხელშიდაც თავს იყრის ყველაზე უფრო ნაზი და მტკივნეული ძაფები ამ ხალხის ნაციონალურ მისწრაფებისა და რომლისამდიც უშუალოდ აღწევს ყველა მისი ცრემლები და საჩივრები,—ჩვენ ვიცით როგორი ბედნიერია იგი.

ჩვენ, ყოველგვარ გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში განიცდის ქართველი ერი, აუცილებლათ იწვევენ მის ფიზიკურსა და მორალურ გადაშენებას. ხალხს ართმევენ ქონებას, რომელიც მორწყულია მისი წინაპრების სისხლითა და ნაკურთხი მათივე ძვლებით და მას ანაწილებენ უცხოელ მოძალადეთა შორის. ესევე მოძალადენი ართმევენ ხალხს არსებობის სახსარს, რომელიც მისი სისხლითაა შეძენილი და შემდეგ აგზავნიან საზღვარ გარეთ. პროფანაციათ ხდება ხალხის სამშობლო, ამახინჯებენ მის ნაციონალურ კულტურას, რომელნიც შექმნილია მის წინაპართაგან. შეურაცყოფას აყენებენ იმასაც კი, რაც არის ყველაზე უფრო ძვირფასი ხალხისათვის, მის სარწმუნოებას და სინდისის თავისუფლების ყალბი ნიღაბის ქვეშ, მცხოვრებლებს უკრძალავენ თავის რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მის სამღვდელოებას დაუნდობლად დევნიან, მისი ეკლესია, რომელიც, როგორც წარსულში რამოდენიმე საუკუნეთა განმავლობაში, კვლავინდებურათ წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორ საქართველოს სახელმწიფოს სიდიადისას და სიძლიერესას, მოკლებულია დღეს ყოველ თავის უფლებას იმდენათ, რომ, მიუხედავათ თავისი ამოდენა ღვაწლისა, მოკლებულია საშუალებას თვითვე გამონახოს არსებობის აუცილებელი სახსარი.

ერთი სიტყვით, ერი გმინავს, ერი სჩივის. მას არა აქვს შეძლება სათანადოთ აღიმაღლოს თავისი ხმა.

საქმის ამგვარი მდგომარეობის პირობებში, ჩვენ, ჩვენი მღვდელმთავრულ მოვალეობათ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი მთელი კულტუროსანი კაცობრიობის წინაშე:

ჩვენ, როგორც ღვთის ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივართ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის განხილვასა და შედარებითი შეფასებაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიღწვოდეთ ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც შედარებით უკეთესად ხელს შეუწყობდა მის მატერიალურ აღორძინებასა და სულიერ განვითარებას და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ:

1) რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები დაუყონებლივ იქნენ გაძევებულნი საქართველოს ტერიტორიიდან და რომ საქართველოს ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარ ძალადობისაგან, ძალმომრეობითი შეფასებისაგან და უცხოელთა გავლენისაგან.

2) რომ საქართველოს ხალხს მიეცეს საშუალება თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ამას იგი თვითონვე დაინახავს საჭიროდ, განამტკიცოს ის ფორმები თავისი პოლიტიკური და სოციალისტური არსებობისა, რომელნიც უფრო შეეფერებიან მის სულსა და მისწრაფებას, მის ზნე-ჩვეულებასა და ნაციონალურ კულტურას.

ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს იმისა, რომ დიდათ პატივსაცემი კონფერენცია, რომელმაც თავის მიზნათ დაისახა კაცობრიობის უდიდეს პრობლემების მოწესრიგება და აღდგენა ამ ქვეყნად სამართლიანობისა და თავისუფლებისა, არ უარყოფს პატარა საქართველოს საარსებო მოთხოვნილებებს, რომელნიც ჩვენ მიერ აქ არიან მოხსენებულნი და გაანთავისუფლებს მას იმ სამარცხვინო მონობიდან და ძალადობის ბატონობისაგან, რომლის მსხვერპლიც იგი დღეს არის.

დაე ღვთის ლოცვა კურთხევა სუფევდეს თქვენზე და თქვენ სულგრძელ განზრახვებსა და შრომაზე.

მორჩილი ამბროსი, სრულიად საქართველოს პატრიარქი».

„ეს არის ეხლა მივიღეთ ტელეგრამა, რომელიც გვატყობინებს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის ჯარები აწარმოებენ სამხედრო ოპერაციებს საქართველოს პროვინციებში—სვანეთში, ლეჩხუმში და რაჭაში. მაშინ, როდესაც მე 9 არმია მიემართება კავკასიიდან ჩრდილოეთისკენ, მე 11 არმია მოდის ქუთაისის მხრიდან გარს ერტყმის ოლქებს, საიდანაც 1921 წ. აჯანყებულმა ხალხმა განდევნა ბოლშევიკების მოხელეები და აღადგინა დემოკრატიული მთავრობა. დაავლეთ საქართველოში იღვრება სისხლი, ხოლო საქართველოს დანარჩენ ნაწილებში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება და მოსალოდნელია სერიოზული კატასტროფები. ქართველი ხალხის სახელით გთხოვთ თქვენ, მიმართოთ კონფერენციას ამ შეკითხვით. კონფერენციას შეეძლო სისხლისღვრისათვის ბოლო მოეღო, თუ იგი დაუყონებლივ მოსთხოვდა რუსეთის დელეგაციას მტრულ მოქმედებათა შეჩერებას და კანში მიღებულ დადგენილების მექვსე მუხლის გავრცელებას საქართველოზე.

„საქართ. ნაციონალისტური მთავრობის პრეზიდენტი ნოე ჟორდანია“.

სხდომაზე დამსწრე დელეგატებმა სცნეს, რომ კონფერენციას, რომელიც მშვიდობიანობის აღდგენის საკითხზე მუშაობს—ნება აქვს იცნოს ეს ტელეგრამა და დაავალეს თავმჯდომარეს დაიწყოს ამის შესახებ მოლაპარაკება რუსეთის დელეგაციასთან და ენერგიული წინადადება მისცეს მას, რათა რუსეთის მთავრობამ მიიღოს ზომები აღნიშნულ ოლქში სისხლის ღვრის შესაჩერებლათ.

ამის გამო მაქვს პატივი გაცნობოთ ყოველივე ეს და გთხოვთ აცნობოთ მოსკოვს აღნიშნულ სხდომაზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა დელეგატების აზრი. იმედი მაქვს, რომ თქვენ ანგარიშს გაუწევთ ამას და გააკეთებთ ყოველივეს, რაც თქვენ ხელთ იქნება იმ ქვეყანაში მშვიდობიანობის დასამყარებლად, რომელმაც ისედაც ბევრი წვალება გამოიარა ამ მოკლე ხანში მომხდარ ომის დროს.

მიიღეთ ბ-ნო თავმჯდომარე, ჩემი რწმუნება თქვენდამი სრულ პატივისცემაში.

წერილები ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

III *)

ჩვენი ეკონომიური ცხოვრება არ არის გამოკვლეული. მრავალ გვარი ძირითადი საკითხები უყურადღებოთ არის, მართალია, არც საჭირო მასალა მოიპოება ვრცელი გამოკვლევის მოსახდენათ, მაგრამ ის მასალაც კი, რაც გამოქვეყნებული არის, თითქმის მივიწყებულია, ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ეს ყველამ კარგათ იცის, მაგრამ სოფლის მეურნეობის ურთიერთობა, მისი მდგომარეობა ბუნდოვანათ არის ბევრისათვის წარმოდგენილი. აუცილებელი და სრულიად მიზან შეწონილი არის გაუწიოთ ანგარიში იმ მასალებს, რომელნიც ჩვენ ხელთ არის, რათა გაუწიოთ ანგარიში ჩვენი სოფლის მეურნეობის მიმდინარეობას და მიდრეკილებას. ამ ჟამათ, როდესაც საფუძველი ეყრება ახალ ეკონომიურ ურთიერთობათ, უაღრესათ საჭიროა ვიქნეთ შეიარაღებული ცნობებით, რათა ეკონომიურ ძალთა გადაჯგუფების დროს არ მოხდეს დიდი შეცდომები.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ საქართველოს მომავალი სოფლის მეურნეობაში არის. სოფლის მეურნეობა არის ერთად ერთი ძლიერი საფუძველი ჩვენი ეკონომიური წარმატების. ეს საფუძველი უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს გაძლიერებული და გამაგრებული.

ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობა სოფლის მეურნეობაში დაუშრეტელი არის, მხოლოდ ყოველნაირი შესაძლებლობანი უნდა იქნეს გამოყენებული. რა თქმა უნდა ეს შეუძლებელი არის დაუყონებლივ, სრულიად მისაღწევი და მოსახერხებელი თანდათანობით. გარკვეული გეგმა სოფლის მეურნეობის აღმშენებლობის სასტიკი შესრულება დასახული გეგმის, შეუპოვარი აღსრულება განზრახული გეგმის—აი სადღეისო ამოცანა. მაგრამ ყველამ კარგათ იცის რომ ასეთი გეგმა არ არის ჯერ-ჯერობით სრულიათ ჩამოყალიბებული.

სოფლის მეურნეობის განმტკიცება თუ მრეწველობის შექმნა? ამ ორ დებულებათა გადამიჯვნა აუცილებელი არის, ნამდვილად კი ეს არ არის. სოფლის მეურნეობას უდიდესი შესაძლებლობა აქვს, მრეწველობის მომავალი კი შედარებით საეჭვო არის. როდესაც მრეწველობაზე არის მსჯელობა აუცილებლათ უნდა იქნეს გარკვეული რაგვარ მრეწველობაზედ არის საუბარი უნდა იქნეს გამოყოფილი ისეთი დარგები მრეწველობის, რომლებსაც აქვს საქართველოში საფუძველი და ნიადაგი.

ჩვენ დღეს საქმე გვაქვს ომიანობით შექმნილ პირობებთან. ომიანობამ დაანგრია საერთაშორისო მეურნეობა, გაწყვიტა კავშირი ეროვნულ მეურნეობათა შორის, ააგო მათ შორის გადუვალი ზღუდეები, განდევნა ძლიერი სამეურნეო ერთეულები საერთაშორისო ბაზრებიდან (რუსეთი, გერმანია). დაინგრა ტრანსპორტი ესე იგი საშუალებანი ურთიერთობის დამყარების სახელმწიფოთა შორის. ასეთი მდგომარეობა დროებითი არის. ეროვნულ მეურნეობათა შორის გაწყვეტილი კავშირი უნდა აღდგეს; მოხდება იმავე სახით აღდგენა ამ კავშირის, როგორც ომიანობამდე იყო, თუ კავშირი დიდ სამეურნეო ერთეულთა შორის სხვა სახეს მიიღებს, სულ ერთია დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულთა არსებობა შეუძლებელი არის. მაშასადამე, დღეს თუ არა ხვალ, ერთი წლის, ხუთი წლის შემდეგ მსოფლიო მეურნეობის კავშირი უნდა გამობრუნდეს. მაშასადამე, ვიდრე ბურჟუაზიული კაპიტალისტური წესწყობილება სუფევს აუცილებელი არის მეტოქეობა, სასტიკი და დაუნდობელი.

დღევანდელ მდგომარეობას ეკონომიურ ურთიერთობაში თუ გავითვალისწინებთ, მეურნეობის მშენებლობის გეგმას ადვილად გამოვძებნით. საქართველოს აქვს ისეთი დარგები მეურნეობის, რომლის გაძლიერება შესაძლებელი და აუცილებელი არის, ასეთი დარგებია მარგანეცის მრეწველობა—ეს უდიდესი საფუძველი ჩვენი კეთილდღეობის. საქართველო არის მარგანეცი—უმდიდრესი სახელმწიფო. საქართველოს მარგანეცის რაოდენობა დაახლოვებული ანგარიშით. უდრის 6,5 მილიარდ ფუთს. ასეთი რაოდენობა მარგანეცის ამჟამათ არსად არ არის. 1885—1920 წ. გატანილი იყო 662.009.778 ფუთი ესე იგი 35 წლის განმავლობაში მხოლოდ 10 პროც. მთელი მარაგის არის დახარჯული. მაშასადამე ჭიათურის მარგანეცს უდიდესი მომავალი აქვს და ეს მომავალი უნდა იქნეს გამოყენებული. უკიდურესი ყურადღება მეურნეობის ამ დარგისადმი საჭირბოროტო საკითხი არის.

გასული 35 წლის გამოცდილებით ვიცით რა უშლიდა ხელს ჭიათურის მარგანეცის გაბატონებას ევროპის ბაზარზედ. ეს იყო ძლიერ დიდი ფრახტები ჭიათურის მარგანეცზედ. დიდი ფრახტი, რომელიც მარგანეცის ფას ეკეცებოდა, უშლიდა მეტოქეობას და ინდოეთის მარგანეცი იმარჯვებდა. ცუდი დამზადება ნედლი მასალის: მოუწყობლობა მარგანეცის გარეცხვის, რკინის გზის პოლიტიკა, ვაგონების უქონლობა, მუშახელით არ იყო წინეთ ჭიათურა უზრუნველყოფილი. საძაგელი პირობები მუშების ცხოვრებისა და მდგომარეობისა. ყველა ეს მიზეზები საშინლად ეხმარებოდა ჩვენ მოწინააღმდეგეებს ევროპის ბაზარზე, ისინი იმარჯვებდენ. ჩვენ მოწინააღმდეგეებს ძლიერი სამსახური გაუწია საერთაშორისო ომიანობამ. ჭიათურის მარგანეცის გასავალი კარები დაიხურა. ბაზარი ინდოეთმა და ბრაზილიამ დაიკავა. დაძლეული არის თუ არა ყველა ის პირობები, რომელიც უშლიდა წინეთ მარგანეცის ევროპის ბაზარზედ გასვლას?

დაძლეული არის თუ არა ყველა დაბრკოლებანი ამ ჟამათ სავსებით ან ნაწილობრივ?

ჭიათურის მარგანეცი ომის წინა წლებიდან დაგროვებული რაოდენობა დაახლოვებით ამ ჟამათ არის 40 მილიონი ფუთი. ომის დაწყების შემდეგ ჭიათურაში მარგანეცის ამოღება აღარ ყოფილა. მუშაობა ძლიერ მცირე იყო. ძლიერ სუსტათ იყო მადაროების მოვლა. ის მარაგი, რომელიც არის გამოილევა. რა დაჯდება ეხლა მარგანეცის დამუშავება და რამდენათ შესძლებს დღევანდელ პირობებში დამუშავებული მარგანეცი ევროპის ბაზარზე მეტოქეობას. არის თუ არა მიზანშეწონილი რკინის გზის პოლიტიკა? ჭიათურის მარგანეცი ძლიერ დიდი წყარო არის ჩვენი ბიუჯეტისათვის. 1920 წ. მთავრობამ მიიღო მარტო გადასახადი გაზიდულ მარგანეცზე 15,036 გირვანქა სტერლინგი და 82,256 გირვანქა სტერლინგი, ნაწილი მოგების, რომელიც მრეწველებმა მიიღეს ერთი წლის განმავლობაში. ჩვენ ფულზე რომ ვიანგარიშოთ მთავრობის მოგება შეადგენს 107 მილიარდ ქაღალდის მანეთს, ეს მოგება შეადგენს ერთ მესამედს რესპუბლიკის მთელი ემისიის. 1920 წ. მდგომარეობა შეიცვალა. მარგანეცის მოთხოვნილება იზრდება, მძიმე ინდუსტრია ფეხზე სდგება. მაშასადამე, ჭიათურის მარგანეცს ეხსნება ბაზარი, ამ მდგომარეობისათვის მზათ არის ჭიათურის მრეწველობა თუ არა? შესძლებს ის თავის მდგომარეობის აღდგენას ახალ პირობებში? მთელი ჩვენი ყურადღება აქეთ უნდა იქნეს მიმართული. სწორი მოქნილი გეგმა სასწრაფოდ უნდა იქნეს დამუშავებული და გატარებული.

ძლიერ დიდი საქმე არის ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის მონოპოლიის დაცვა. მონოპოლია უნდა იქნეს განმტკიცებული.

არის მეორე დარგი მრეწველობის, რომელიც აგრეთვე უაღრეს ყურადღებას მოითხოვს: ეს არის ნახშირის წარმოება ტყიბულში. ნახშირის წარმოება ვერ გაძლიერდა ომიანობამდე. ამისი გაძლიერება არ იყო სასარგებლო და ხელსაყრელი ძველი რუსეთის მთავრობისათვის, რომელსაც თავის ნებას უკარნახებდა დონის ნახშირის მწარმოებლები. მათ ყოველგვარი ღონის ძიებანი იხმარეს და ჩაახრჩვეს ტყვარჩელის ნახშირი. უდიდესი სიმდიდრე დევს, და ვინ იცის როდის ამუშავდება სათანადო მაშტაბით. დიდ მეტოქეობას უწევდა საქართველოს ნახშირის წარმოებას ბაქოს მაზუთი და ნავთი. ბაქოს მაზუთი და ნავთი უფრო იაფი და უფრო ხეირიანი იყო. ნახშირის წარმოება ძლიერ სუსტი იყო.

ტყიბულის ნახშირის რაოდენობა უდრის დაახლოვებით 5 მილიარდ ფუთს. პატარა რესპუბლიკისათვის ეს დიდი განძი არის. საშუალო წლიური დამუშავება იყო 3,3 მილიონი ფუთი ომიანობამდე.

ტყიბულის ნახშირზედ, როდესაც არის მსჯელობა, აუცილებლათ უცხოეთის ბაზარი არის მხედველობაში. ტონა ინგლისის ნახშირის მარსელში ღირს 11 შილინგი. ანუ 550000 მანეთი, ან ფუთი 9000 მანეთი. შესძლებს ტყიბულის ნახშირი მეტოქეობას ევროპის ბაზარზედ? ჩვენი ღრმა რწმენით ეს შეუძლებელი არის. ნახშირის მსოფლიო მარაგი 716151 მილიონი ტონა, ამ რაოდენობიდან ამერიკას ეკუთვნის 58,20 პროც., ევროპას—38,40 პროც.

ნახშირის მიწოდებაში ამ ჟამათ საშინელი მეტოქეობა არის ინგლისსა და ამერიკის შორის. ამერიკის ნახშირი უკვე არის ევროპის ბაზარზედ. ინგლისის ნახშირის ვაჭრობა ამერიკის მეტოქეობის გამო ძლიერ შევიწროვებული არის.

თუ ომიანობამდე ევროპის ბაზარზედ იშვიათი მოვლენა იყო ამერიკის ნახშირი, ამ ჟამათ ამერიკის, აფრიკის, წარმოიდგინეთ ჩინეთის ნახშირიც კი გაჩნდა. ამერიკის ნახშირი ებრძვის ინგლისის ნახშირს. ამ ბრძოლაში მოგებული რჩება სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი სათბობი მასალა არა აქვთ.

ტყიბულის ნახშირს ჯერ-ჯერობით აქვს შინაური ბაზარი. იმ წარმოების მიხედვით, რომელიც არის ტყიბულში ნახშირმა, რომ შინაური მოთხოვნილება დააკმაყოფილოს დიდი საქმე იქნება. რესპუბლიკის ქალაქები დიდ გასაჭირს განიცდიან სათბობ მასალაში. ქალაქებში იწვება ხეტყე. ჩვენი ტყეები თან და თან ნადგურდებიან. ყოვლად დაუშვებელია ტყეების განადგურება სათბობ მასალად იმ ჟამს, როდესაც ჩვენ გვაქვს მშვენიერი სათბობი მასალა ჩვენ უკვე გვაქვს ოდნავ მაინც მოწყობილი დარგები მეურნეობის. მათ ეჭირდება უაღრესი ხელის შეწყობა, დახმარება. ამ დახმარებისათვის უკვე და განმტკიცებისათვის, არსებული დარგების უნდა იქნეს მიმართული უკიდურესი ყურადღება ჩვენი ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანიზაციების მიერ.

ჩვენში ბევრნი არიან გატაცებული მრეწველობის დამკვიდრებით. ამ მიდრეკილებას აუცილებლად აქვს საღი საფუძველი. ჩვენში არის შესაძლებლობა მრეწველობის დამყარების: ნედლი მასალა და სათბობი მასალა არის. არის ნიადაგი მრეწველობის მრავალი დარგების, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მრეწველობა გულისხმობს დიდ კაპიტალს და ბაზარს. კაპიტალი ჩვენ არ გვაქვს. ქაღალდის ფული ხომ არ არის კაპიტალი. ჩვენი შინაური ბაზარი ძლიერ მცირეა. მრეწველობის განვითარებას და გაძლიერებას აუცილებლად სჭირდება დიდი ბაზარი, წვრილი მრეწველობა ვერ შესძლებს მეტოქეობას, ვერ გასძლებს.

აი როდესაც ისმება საკითხი მეურნეობის აღმშენებლობის შესახებ, სრულიად გარკვეული უნდა იქნეს გეგმა მომავალი მეურნეობის მნიშვნელობის. ჩვენი ძირითადი დებულება არის: უაღრესი ყურადღება სოფლის მეურნეობას, უაღრესი მეთვალყურეობა, ხელმძღვანელობა სოფლის მ განმტკიცება მეურნეობას. ეს არის ძირითადი საკითხი ჩვენი წარმოების და ჩვენი მომავლის. დღევანდელი სოფლის მეურნეობა ჩვენთვის საზარალო არის. სოფლის მეურნეობა მხოლოდ ზარალს იძლევა. სულ მცირე რაოდენობა რომ მივიღოთ ყოველ წლიური ნაკლი მარტო ხორბლეულობის არის 2,5 მილიონი ფუთი. ეს რაოდენობა სწორი არის. მივიღოთ 1,5 მილიონ ნახევარი ფუთის ნაკლი იყო ყოველ წლიურად. 1,5 მილიონ ნახევარი ფუთი ხორბალის ღირებულება არის 1,5 მილიონ ნახევარი ოქროს მანეთი, ანუ 150 მილიარდი ქაღალდის მანეთი, ანუ ნახევარი ერთი წლის ქაღალდის ემისიისა. წარმოვი-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 158.

ეკონომიური ურთიერთობა მოსკოვთან

(საუბარი სახალხო სასურსათო კომისარ ამხ. ერქომაიშვილთან.

სახალხო სასურსათო კომისარმა ამხ. ერქომაიშვილმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს, შემდეგი გადმოგვცა თავისი მოგზაურობის მიზნებისა და შედეგების შესახებ.

გამგზავრების მიზანი.

ჩემი გამგზავრების უმთავრესი მიზანი იყო მოსკოვთან ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარება. რაც შეეხება ჩვენი ურთიერთობის ფორმას, ჩვენ გვინდა მოვაწყოთ არა მარტო სავაჭრო, არამედ ცოცხალი ეკონომიური კავშირი. ამიტომ ყველა კავშირი იბმებოდა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებთან, რაც ამასთან სავსებით შესაძლებელიც იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვში მთავრობამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპების დარღვევის გარეშე, მთელი მსხვილი ვაჭრობა თვით აიღო თავის ხელში, დააარსა რა მაგალითად: ჩაის მმართველობა, ღვინით ვაჭრობის მმართველობა და სხვ. ჩვენ შევძელით ყოველ ასეთ დაწესებულებებთან გაგვება კავშირი.

ამდენხანს ნორმალური კავშირი არ არსებობდა. მოსკოვში ჩვენ სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან მოწყობილი იყო ეკონომიური განყოფილება, რომელიც თუმცა ფაქტიურად მუშაობდა 1 იანვრიდან, მაგრამ მაინც საჭირო იყო, მისი ორგანიზაციის დამთავრება, მის მუშაობაში კოლეგიალური პრინციპის შეტანა და მისი მუშაობის საბოლოოდ მოწესრიგება. ეს ეკონომიური განყოფილება აწარმოებს მთელ მუშაობას და აგრეთვე კრავს ყოველგვარ ხელშეკრულებას საბჭოთა საქართველოს სახელით.

პირველი მერცხალი ჩვენს ურთიერთობაში იყო რამოდენიმე სამარშრუტო მატარებლები, რომელიც დატვირთული იყო ღვინით, ჩაით, დაფნის ფოთოლით, ხილის კონსერვებით, თხილითა და სხვ., რომლებიც ჩვენ გავგზავნეთ მოსკოვში. ახლა კი დადებულია მთელი რიგი ხელშეკრულებისა სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომელთა უმთავრეს მიზანს შეადგენს არ გამოუშვას საქონელი პირდაპირ ბაზარზე, სპეკულიაციის თავიდან ასაცილებლად, არამედ გაანაწილოს იგი სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის.

მატყლის ოპერაცია.

ერთ უმთავრეს ხელშეკრულობათაგანს შეადგენს ის, რომელიც ჩვენ დავდევით სრულიად რუსეთის საზოგადოებასთან: „მატყლი", რომელიც, თუმცა საპაიო საფუძვლებზეა აგებული და მუშაობასაც აწარმოებს კოოპერატიულ პრინციპებზე, მაგრამ რომელსაც ცხადი სახელმწიფოებრივი ბეჭედი აზის, ვინაიდან სპეციალური ხელშეკრულობის თანახმად ეს საზოგადოება აწვდის სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნებს მატყლს. ამ საზოგადოებას აქვს თავისი განყოფილებები რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის ყველა ადგილებში.

თავიდანვე საზოგადოება დაინტერესებული იყო მატყლის წარმოებით საქართველოში. ჯერ კიდევ ჩემ ჩასვლამდის საზოგადოებამ მიმართა ჩვენ წარმომადგენლობას წერილით, შესაძლებელი იქნება თუ არა საზოგადოებამ შეიძინოს მატყლი საქართველოში.

საზოგადოებასთან მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ უმთავრეს მიზანს შეადგენს ადგილობრივ ძალთა შეკავშირება მატყლის დასამზადებლად. უნდა შეიქმნეს სპეციალური ფონდი მეცხვარეთა, საქართველოს მთავრობისა და რუსეთის საზოგადოება „მატყლი"-ს მონაწილეობით. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება მოეწყოს მომავალში, ვინაიდან მატყლის მოწევის სეზონი უკვე დაიწყო. ამ ჟამად ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ მატყლი არ გაუშვათ ჩვენი ხელიდან. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა გამოსცემს დეკრეტს მატყლის მონოპოლიის შესახებ.

საზოგადოება „მატყლის" ერთ-ერთ მიზანს შეადგენს ის, რომ ჩვენი მატყლი არ ჩაუვარდეს ხელში დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებს. გლეხებისათვის გამოუსადეგარ პირობებში.

თანახმად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დასდვა ეკონომიურ განყოფილებამ ამ საზოგადოებასთან. ეს უკანასკნელი აწარმოებს საქართველოში მატყლის დამზადებას საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატის საშუალებით ისე, რომ მთელი დამზადებული მატყლის რეალიზაცია ხდება ჩვენთან შეთანხმებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი ნახევარი შეუძლია საზოგადოებას გამოიყენოს სინდიკატებისათვის. ამ ოპერაციის საწარმოებლად საზოგადოებამ მისცა სახალხო სასურსათო კომისარიატს ავანსის სახით მანუფაქტურა 125.000.000.000 მანეთის ღირებულებისა რუსეთის ფულის ნიშნებით. ამ ოპერაციების მუშაობის სახელმძღვანელოდ საზოგადოებას ეყოლება ჩვენში თავისი წარმომადგენელი, ხოლო სახალხო სასურსათო კომისარიატმა კი ამ ოპერაციების შესახებ უნდა აწარმოოს განსაკუთრებული ანგარიში.

ღვინის ოპერაცია.

უკვე დადებული იყო ხელშეკრულება ღვინით ვაჭრობის მმართველობასთან საქართველოს ღვინოების შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით მმართველობა იღებდა ღვინის ნარდათ გაყიდვის დროს 15 პროცენტს, ხოლო ჩამოსხმის დროს კი 40 პროცენტს, მმართველობას იმედი აქვს გაასაღოს 500 ათასამდე ვედრო ღვინო. ამ ჟამად საერთოდ ეს ხელშეკრულება არ არის შეცვლილი, მაგრამ ჩვენ მიერ წარმოებული მოლაპარაკებით ყოველი დეტალი იქნა გამორკვეული იმ გვარად, რომ მაგალითად ამ 500 ათას ვედრა ღვინოზე მეტი ჩვენ შეგვიძლია როგორც გვსურს ისე გავასაღოთ. განზრახულია ღვინის სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ პუნქტებში გატანის ნებართვის მიცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვისაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ რუსეთის მევენახეობის ადგილები ძლიერ დაზარალებულია და რასაკვირველია მათ არ შეუძლიათ რუსეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ღვინის საქმეში და ამიტომ ჩვენი ღვინო კონკურენციის გარეშე სდგას. და იმ დროსაც კი, როდესაც კონკურენციაც არსებობს ჩვენი ღვინო ყოველთვის უპირატესობობით სარგებლობს.

ხელშეკრულება ჩაის სამართველოსთან.

ჩვენი წარმოების ჩაის დამზადებისათვის ხელშეკრულება ადრევე იყო დადებული. ამ ჟამად დადებული ახალი ხელშეკრულება გულისხმობს არა მარტო ჩვენი წარმოების ჩაის დამზადებას, არამედ იმ ჩაისაც, რომელიც მოდის საზღვარ-გარეთიდან. და კიდევ მეტი ხელშეკრულება გვავალებს ჩვენ ციკორის ყავის და სხვა საქონლის, როგორც მაგ. შაქრისა და დამზადების; ამასთანავე საქართველოს ტერიტორიის საზღვრებით ჩაის სამმართველო ვალდებულია აწარმოოს საქონლის ყიდვა მაოლოდ მხოლოდ საქართველოს სასურსათო კომისარიატის საშუალებით. ამ ოპერაციის საწარმოებლად ჩაის სამმართველო იძლევა ავანსებს ნაწილობრივ საქონლით, ნაწილობრივ ვალიუტით.

აბრეშუმის პარკის ოპერაცია.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატი ძლიერ დაინტერესებულია ჩვენი პარკით, ამავე დროს სინდიკატს საჭიროდ მიაჩნია აბრეშუმის პარკის რეალიზაცია წარმოებულ იქნეს ისე, რომ ერთის მხრივ, პარკზე ფასების აწევით არ შეემალოს ხელი თვით რუსეთის საფეიქრო წარმოებას ამიტომ ჩვენ ვერ შევძელით დაგვემთავრებია მოლაპარაკება განსაზღვრულ ფასების შესახებ, განზრახულია მიმდინარე წლის განმავლობაში აბრეშუმის პარკის დასამზადებლად გადადებულ იქნეს დაახლოვებით 2 მილიონი არშინი მანუფაქტურა. პარკის მთელი რაოდენობა, შარშანდელი წლის გაუსაღებელ მოსავალითურთ სინდიკატს არ შეუძლია შეისყიდოს და ამიტომ შარშანდელი პარკი საჭიროა გავასაღოთ ადგილობრივ. საბოლოო შეთანხმება სინდიკატთან ყველა საკითხებში მოყვანილი იქნება ამხ. ადანაიას მიერ, რომელიც დარჩა მოსკოვში.

ხელშეკრულება მოსკოვის ეკონომიურ მომხმარებელ საზოგადოებასთან.

მოსკოვის ეკონომიურ მომხმარებელ საზოგადოებასთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც იგი ვალდებულია ჩვენი მარშრუტების ჩასვლისთანავე შეიძინოს: თევზი, ხიზილალა, ნედლი და გამხმარი ხილი და ხილის კონსერვები.—მაგარი ფასები არ არის დაწესებული და ყოველ ცალკე შემთხვევაში იქნება ნავარაუდევი მოსკოვის ბაზრის ფასები და ამ ფასებს გამოაკლდება განსაზღვრული სარეალიზაციო პროცენტები ეკონომიურ-მომხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ.

სურსათი საქართველოსათვის.

რაც შეეხება საქართველოს სურსათის მომარაგებას, რუსეთის სასურსათო კომისარიატმა დაავალა საგარეო ვაჭრობის კომისარიატს მისცეს საქართველოს მის მიერ შეძენილ და ბათომსა და ფოთში მოსულ ფქვილიდან 150 ათასი ფუთი ფქვილი, და ამავე დროს საქართველოს სასურსათო სახ. კომისარიატის ვალი 30 ათასი ფუთი ფქვილისათვის. რომელიც უნდა გადაუხადოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატს, საბჭოთა რუსეთის სასურსათო კომისარიატმა თავის თავზე იკისრა.

ბაზარზედ შეერთებული გამოსვლა.

საქართველოს ეკონომიური სახალხო კომისარიატები, წარმომადგენლობასთან ეკონომ.-განყოფილების დაარსებამდე, გამოდიოდნენ ბაზარზე ცალკ-ცალკე, რაც მათ ძალებს საქსავდა და რასაც საქმეში არევ დარევა შეჰქონდა. მოსკოვში მოწვეული სპეციალურ თათბირში, ადგილობრივ პასუხისმგებელ მომუშავეთა მონაწილეობით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მთელი მუშაობა მოექცეს მოსკოვში ერთ მთლიან ორგანოს ხელში. სათანადო პროექტი მუშავდება და წარდგენილი იქნება საქართველოს ეკონომიურ საბჭოში. ასეთი ორგანიზაცია ააცილებს თავზე ეკონომიურ სახ. კომისარიატებს იყოლიონ თავიანთი ცალკე წარმომადგენლები.

შესაძლებლობანი.

მოსკოვის სახელმწიფოებრივ ორგანოებთან დადებულ ყველა ხელშეკრულებების ძალით, ჩვენ მივიღებთ უმთავრესად საქართველოსთვის საჭირო საქონელს რ.ს.ს. ფ. რ. ფულის ნიშნების შემოტანას შევამცირებთ. ამ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მოგვცემენ ჩვენთვის უსარგებლო საქონელს, ჩვენ შეგვეძლება ეს საქონელი გადავცვალოთ მანუფაქტურაზე და სხვა საჭირო საგნებზე.

რუსეთში სრულებით კონკურენციის გარეშე სდგას გორის მაზრის ხილეულობა. მათი გატანის გაძლიერების მიზნით განზრახულია მოეწყოს რამოდენიმე სპეციალური საგრილებელი ვაგონი.

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი ოპერაციების განვითარებისათვის ამიერ კავკასიის რკინის გზები, რომლებიც მოითხოვენ ფრახტის წინდაწინ გადახდას და არ აგზავნიან მანამდე მარშრუტებს. ეკონომგანყოფილების მიერ შეკრულია შეთანხმება გზათა სახალხო კომ-თან, რომლის თანახმად ფრახტი გადახდილი უნდა იქნეს მოსკოვში. იმისთვის კი, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზები არ დაბრკოლდენ შემოსავლის შეწყვეტით, კავკასიამ უნდა იყოლიოს მოსკოვში წარმომადგენელი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ფულის გადმოგზანის საქმე.

ა. ქ.

ბრძოლის მგოსანი

(ძველი რვეულიდან)

მისი მიდამო მუდამ არის პარნასიანი,
სულში ინახავს ცეცხლს მომავლის ბრძოლის ჰანგებით,
ძველი სამყარო დაპოხსილი და ხავსიანი
სულს უშფოთავდა და უფენდა გზებს ხაფანგებით...

მაგრამ ბრძოლის ველს არ სჩვევია მას დაშორება,
ბარიკადებში თხზავს სიმღერებს ბრძოლის ჰანგებზე,
მის ჩანგის სიმებს სევდას აქსოვს ტანჯულთ გოდება,
მაგრამ მას მაინც უკრთის წრფელი ღიმი ბაგეზე.

ბრძოლის ქარ-ცეცხლში მზიურობა მას ანეტარებს,
ძველი ეპოქის ამოოხვრას გადასცემს ჩვენებს
ბრძოლის სიმღერით კლდოვან მთებზე გადაგვატარებს
და იქ ჩვენ ლტოლვას და ოცნების ქალწულს გვაჩვენებს.

აყირავებულ ძველ სამყაროს ასევდიანებს
მისი ბრძოლის ხმით ცეცხლის ჩანგის სიმების ჟღერა
გაკაჟებული სულით იკრებს ცეცხლის თმიანებს
„ჩვენ გავიმარჯვებთ!" ამბობს იგი და ჩვენც ეს გვჯერა.

ხანდრო ეული.

ცეცხლის ზმები

ქარხანამ ცეცხლი ააქარიშხლა
შეაზარხოშა ბრძოლით დამთვრალი,
მსოფლიოს რკალით გადაეჯაჭვშნა,
მზე გადაჰკოცნა ამომავალი...

ამაყი ფრთებით დასწურა ფიქრი...
კერპს ჟრჩთა ისრით გაუპო ქალა...
გადაუქროლა თავს ფლიდ არბიტრებს
და მიწის ვნება შორს გააქანა...
გაჩნდენ სცენაზე თვით სპარტაკები,
დინამიტებით აღჭურვილები...
გაკაჟებულნი... რკინის ფალტებით
შემოსილი და დაჯავშნულები...
ცეცხლს აფრქვევს თვალი და ყრის პირი ცოფს
ო, ვით უხდება ეს თუჯის სახეს!..
მათ დღეს სცენაზე ვერ გამოიცნობ
ცის საიდუმლო სიტყვით ასახეს.
აფეთქებული ვულკანის ლავა
უქადის კოსმოს ბიბლიურ წარღვნას,
რომ ძველი ქვეყნის გულის საკლავათ
კაცობრიობა მიყავდეს წაღმა...
და ჩვენც მივქრივართ დარკინულ ფრთებით
გაგიჟებული რაშის ჭენებით,
ჩვენ ცის რისხვა ვართ და გარდვიქნებით
ხელახლა ძველის გარდაშენებით.

პეტრე სამსონიძე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ლეჩხუმის მაზრის მშრომელთა რეზოლიუცია. ცაგერიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ ლეჩხუმის მაზრის მუშების, გლეხების და გარნიზონის მიტინგმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის წევრის ამხ. იობიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ისინი იწონებს საბჭოთა დელეგაციის მუშაობას გენუის კონფერენციაზე, რომელიც მიმართული იყო მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად და გამოთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას მე-2 ინტერნაციონალის ბელადების—ვანდერველდეს და სხ. ესერების, მუშურ-გლეხურ რევოლიუციის ჯალათების და ამხ. ვოლოდარსკის და ურიცკის მკვლელების დამცველების წინააღმდეგ.

აჭარა.

ბათომი. მე-3 მექანიკური ქარხანა. მესამე მექანიკური ქარხანა, რომელიც მშვიდობიანობის დროს პირველად ეკუთვნოდა მანთაშევს, შემდეგ პიტოევს, ომის დროს ამზადებდა ხელით სასროლ ბომბებს და მინის აპარატებს. ეს ქარხანა განადგურებული იქმნა თებერვლის რევოლიუციის პერიოდში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ის ხელახლად აამუშავეს, უმნიშვნელო რიცხვით მუშებისა ქარხანამ დაიწყო სამხედრო ურმების, ავტომობილების და სხვათა შეკეთებმ. ქარხანას სათავეში უდგას ამხ. პეტროვი მექანიკი და მუშა, რომელსაც კარგად ესმის მუშების ინტერესები. ქარხანამ აიყვანა თავის შემოსავალი თვეში საშუალოდ 150 მილ. მანეთამდე, რომლიდანაც მუშებისა შენახვას სჭირდება 60 მილ. მან.

ბათომის ნავთსადგურში. 24 მაისს მოვიდა ზუნგულდაკიდან გემი „ფელიკს დზერჟინსკი" სხვადასხვა გვარი ტვირთით და 4 მგზავრით. ფოთიდან მოვიდა მოტორი „იული"; ორივე საბჭოთა რუსეთის ფლაგით. იმავე დღეს გავიდა სოხუმში გემი „მარია" სამი მგზავრით და სტამბოლში გემი „ალბანია" იტალიის ფლაგით, 15 მგზავრით და ტვირთით. კერჩში და ფოთში გავიდა ორი მოტორიანი ნავი 1350 ფუთი ტვირთით და 25 მგზავრით.

30 მაისს მოვიდა ბათომში გემი „ფრიჟი" საფრანგეთის ფლაგით და 23050 ფუთი სხვადასხვა გვარი ტვირთით,—მათ შორის შაქრით და სახარინით.

სომხეთი.

საქონელი ამერიკიდან. ამერიკიდან ბათომში მოსული ოცი ვაგონი მედიკამენტები და ოთხი ვაგონი ტრაქტორები ახლო აღმოსავლეთის ამერიკულ დამხმარე კომიტეტის სახელზე 24 მაისს სამარშრუტო მატარებლით გაიგზავნა თბილისში. 31 მაისს ეს ტვირთი გადაიგზავნა ალექსანდროპოლში.

აზერბეიჯანი.

კალიის ფრონტზე. კალიასთან საბრძოლველად დანიშნული საგანგებო რწმუნებული ამხ. ბაგიროვი პირდაპირი მავთულით 27 მაისის თარიღით იტყობინება: „24 მაისს საღამოს 6 საათზე კარადოგლიდან მილსკის მინდვრებით და არდჯებეთით გავემგზავრე ტერტერში და დავათვალიერე კალიის რაიონები კარიაგინის და შუშის მაზრებში. ზაფხულის კალიამ, რომელმაც თითქმის მთელი ნათესები გაანადგურა სპასეთში, ძალიან ბევრი გამოჩნდა ჩვენშიც, მაგრამ, ჩვენი გლეხობა აქამდი წარმატებით ებრძვის მას რამოდენიმე ტეხნიკური და აგრეთვე ადგილობრივი საშვალებებით, რომელთაც ეკუთვნის ხმელი ბალახის ამოწვა და კალიის კვამლით შეჩერება. მთელ კალიის ფრონტზე დღემდე ზაფხულის კალიის მიერ მოსპობილია 65 დესეტინა ნათესი, გლეხობა გაფაციცებით ეწევს მოსავალს და მის თავის დროზე აღებაში ის სავსებით დარწმუნებულია. რესპუბლიკის მაზრების ეკონომიური მდგომარეობა კარგ მოსავალთან დაკავშირებით მნიშვნელოვანად უმჯობესდება, კარიაგინის და ჯებრაილის მაზრებზე ახალი ქერის ფასები 4 მილ. მანეთიდან დაეცა 2 მილიონამდე, და კიდევ იჩენს ტენდენციას დავიდეს ეს ფასები ერთ მილიონამდე. მტკვრის და არაქსის მთელი რაიონი და აგრეთვე ხუდაფერის გადასავალი ჯებრაილი, კარიაგინო, აგდანი, ევლახი, ნუხა, ზაქათალი, კუბა და კაზახი სრულიად დამშვიდებული არიან. რესპუბლიკის ყველა მაზრებში აბსოლიუტური სიწყნარეა და სრული რევოლიუციონური წესრიგი სუფევს. და აქ არ არის არა თუ ბანდიტიზმი, არამედ წვრილი ქურდობაც, მცხოვრებლები მთლიანად და სავსებით ახმარს თავის ძალებს პურის მოწევას და თავის მეურნეობის აღდგენას. მტკვრის და არაქსის ნაპირების გამაგრებას, მუშაობის ორგანიზაციის წარმატებას, კალიასთან ენერგიულ ბრძოლას და ნათესების მოწევას ძალიან შეუწყო ხელი ადგილობრივმა მტკიცე ადმინისტრატიულმა აპარატებმა, რომლებმაც ორი წინა თვის განმავლობაში ხელი შეუწყვეს მეტად მძიმე სამუშაოს.

მადლობის გამოცხადება კალიის ფრონტის მუშაკებისადმი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მუსაბეკოვმა გაუგზავნა საგანგებო რწმუნებულს ამხ. ბაგიროვს შემდეგი დეპეშა: „სახალხო კომისართა საბჭო განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა რა თვალყურს კალიის ფრონტზე ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა არა ჩვეულებრივ მძიმე პირობებში, აზერბეიჯანის მუშა-გლეხთა მასსების და რევოლიუციონური მთავრობის სახელით ვუცხადებ ღრმა მადლობას კალიის ფრონტის ყველა მუშაკებს გამოუკლებლივ,—გლეხობას რომლებიც მტკიცედ იდგნენ აუარებელ სტიქიურ უბედურებათა ბრძოლაში, კულტურულ ეკონომიურ აღორძინების და სასოფლო მეურნეობის აღდგენის გზაზე, საგანგებო რწმუნებულს ამხ. ბაგიროვს, რომლის ნებისყოფით და დაუშრეტელი ენერგიით მოწყობილი იქმნა და ტარდება წარმატებითი ბრძოლა.

მოსავლის პირი. ლენკორანის მაზრაში მოსული ცნობების მიხედვით ელიან კარგ მოსავალს. შუშის მაზრაში მოსავალი იქნება დესეტინიდან 40 ფუთამდე, გოქჩის მაზრაში ფიქრობენ, რომ საშუალოდ თითო დესეტინაზე მოვა 45—50 ფუთი. შემახინის მაზრაში მოსავალი საუცხოვოა. მთიან ადგილებშიაც ქერმა დაიწყო თაველის ამოღება ჯერ კიდევ მაისის პირველ რიცხვებში. მატრესის რაიონში 23 აპრილს მოსულმა სეტყვამ პურებს ზიანი ვერ მიაყენა. მიწების დახვნა დაიწყო ერთსულოვანად. ამ საქმეს დიდი დახმარება გაუწია გამოგზავნილმა გუთნებმა. დამუშავებულია ვენახების 50 პროცენტი, მაგრამ მათი წამლობა არ დაწყებულა. ხილის ხეებზე გაჩნდა მრავალი მაისის ჭია, რომელთანაც სამაზრო სააგრონომო პუნქტი ბრძოლას ვერ ახერხებს. თესვის სამეულმა მიიღო 1.000 ფუთი ამერიკული ხორბალი, მაგრამ ის მოვიდა დაგვიანებით და დასველებული. მთელი სიმინდი დაურიგდა უფრო გაჭირვებულ სოფლებს იმ პირობით, რომ ისინი დააბრუნებენ მას მიმდინარე წელში მოსავლიდან სათესლი მასალით, მცხოვრებლების უმრავლესობა და აგრეთვე მალაკნების სოფლებიც საჭიროებს პურს და იძულებული არიან გაყიდონ შინაური საქონელი: სამუშაო ხარი ფასობს 20—25 ფუთი ხორბალი.

დგინოთ ისეთი ბედნიერი მდგომარეობა, როდესაც არ იქნება საჭირო ამდენი ფული უცხოეთის ხორბლეულობისათვის. მაშასადამე 1.5 მილიონი ოქროს მანეთი დარჩება ეროვნულ მეურნეობას, ამდენათ გაიზრდება ეროვნული შემოსავალი. სოფლის მეურნეობის აღდგენას არ სჭირდება იმდენი თანხები, რამდენიც საჭიროა მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობაში ჩადებული კაპიტალი უფრო მალე იძლევა შედეგებს, ვიდრე მრეწველობაში.

რამდენი ყაყანი იყო ნატურ. გადასახადის შესახებ, რამდენი იყო ნათქვამი, რომ ეს გადასახადი საშინელი უღელია სოფლის მეურნეობისათვის, აუტანელი, საზარალო და ბევრი რამ სხვა. მართალია, ნატურ გადასახადის ჩატარება ვერ მოხერხდა ისე, როგორც საჭირო იყო მაგრამ ძირითადი აზრი ნატურ გადასახადის სწორი იყო თუ არა? დებულება, რომელზედაც აშენებული იყო ნატურ გადასახადი მართალი იყო თუ არა? თუ მივმართავთ უტყუარ ციფრებს, მივიღებთ პასუხს კითხვაზედ. აკრეფილი იყო 96.000 ფუთი ხორბლეულობა, 26 ათასი ფ კართოფილი. სხვა გადასახადს არ ვღებულობთ მხედველობაში. თითო ოქროს მანეთად რომ ვიანგარიშოთ ფუთი ხორბალი და 50 კ. ფუთი კართოფილი მივიღებთ 109.000 ოქროს მანეთს. ეს არის მცირე ეკონომია ჩვენი მეურნეობისათვის, აუცილებლად ბევრი დაიკარგა, მოიპარეს, ხარჯებიც იყო გაწეული აკრეფის დროს. საშუალო ჩვეულებრივი წლიური მოსავალი ხორბლეულობის არის 30 მილიონი ფუთი. აკრეფილი გადასახადი შეადგენს სულ უმნიშვნელო რაოდენობას 0,3 პროც. სოფლის მეურნეობას ყოველთვის შეუძლია მისცეს სახელმწიფოს შემოსავლის 5-10 პროც. საერთაშორისო ნგრევაში ყველაზე ნაკლები განცდა ხვდა სოფლის მეურნეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მან უფასოდ მიიღო სახელმწიფოსაგან სიწა. სოფელი ქალაქთან შედარებით უფრო მაძღარი არის. ვალდებული არის ის თუ არა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მეურნეობაში? აუცილებლად ვალდებული არის. მაშასადამე სოფლის მეურნეობას აქვს დიდი შესაძლეილობა. მისი აღდგენა უფრო იოლი არის, ვიდრე შექმნა მრეწველობის.

ამ დებულებიდან შესაძლებელი ბრუნდი დასკვნის გამოყვანა. როდესაც ჩვენ ვაღვიარებთ აუცილებლად სოფლის მეურნეობის განმტკიცებას არ შეიძლება მრეწველობის დავიწყება. მარტო სოფლის მეურნეობით თავს ვერ შევინახავთ, რადგან იმავე სოფლის მეურნეობას ბევრი რამ სჭირდება ქალაქის მრეწველობისაგან: რკინა, ტყავი, ფართალი და სხვა. თუ სოფლის მეურნეობას ქალაქმა არ მიაწოდა საჭირო საქონელი, ის ვერას გახდება. კარჩაკეტილი მეურნეობის ხანა უკვე გავიდა.

საჭირო არის ღრმა ჩაფიქრება რა გვარი მრეწველობა უნდა იქნეს შექმნილი, საით უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ყურადღება.

გავიხსენოთ მაგალითები და მათი შედეგები. შარშან რამოდენიმე მილიარდი იყო ჩაყრილი კახეთში ნავთის წარმოებისათვის. იყვნენ გამბედავი პირები, რომლებმაც ამ საქმის დაწყებას მხარი არ დაუჭირეს და მოწინააღმდეგეთ გამოვიდნენ. ისინი მაშინ ჩაქოლეს, რა გამოვიდა, რა მდგომარეობაში არის ნავთის წარმოება, დარწმუნდა ვინმე რომ უნიადაგო საქმე იყო დაწყებული. ხელსაყრელი არის თუ არა წარმოება ნავთის, რომლის ხარჯები ძლიერ დიდია, როდესაც ბაქოში უფრო იაფი ჯდება და მეტი ნავთიც არის. უმჯობესი არ იქნებოდა მილიარდები ტყიბულის ნახშირის წარმოებისათვის მიგვეწოდებია? წინააღმდეგობას, იმედია არავინ კადნიერებათ არ ჩათვლის.

ამას წინეთ გამოქვეყნებული იყო, რომ დაწყებული არის ჩატახის თუჯის ქარხნის აღდგენა და გადადებული არის 300,000 ოქროს მანეთი. ქარხანა 40 წელიწადია რაც არ მუშაობს, 40 წლის განმავლობაში საშინელი ცვლილება მოხდა თუჯის წარმოებაში. ნუ თუ 300,000 ოქროს მანეთით შეიძლება ისეთი წარმოების გაჩაღება, რომელიც სახეირო იქნება. უეჭველად თუჯის წარმოებას გარეშე ბაზრის მოთხოვნილება აქვს, ვინაიდგან შინაური მოთხოვნილება არ არის დიდი. რა ტეხნიკა იქნება ჩატახში. ნუ თუ ქარხანა იმ მანქანებით იმუშავებს, რომლითაც ის 40 წლის წინეთ მუშაობდა, თუ ეს იქნება რა დაჯდება ნაწარმოები და რა ხარისხის იქნება იგი, შესძლებს ევროპის ბაზარზედ ჩვენი თუჯი მეტოქეობას? ამერიკის თუჯის წარმოება ომიანობის გამო საშინლად გაიზარდა. ამერიკის მონაწილეობა თუჯის წარმოებაში უდრიდა ომიანობამდე 46 პროც. ამ ჟამად ამერიკის თუჯის წარმოებას ეკუთვნის 67 პროც. მთელი მსოფლიოს წარმოების და გაასწრო ინგლისის და გერმანიის წარმოებას, რა ადგილს დაიჭერს ჩვენი შინაური წარმოება თუჯისა.

საქართველოს მრავალი სიმდიდრე აქვს, ეს სიმდიდრე მიწაში არის ჩამარხული, მისი აღდგენა სასიცოცხლო საქმეა ჩვენთვის. მაგრამ სრულიად გულახდილად უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ ღარიბ რესპუბლიკას არ შეუძლია ჩვენი სიმდიდრეების ამოძრავება მაშასადამე, უნდა მივმართოთ უცხოეთის კაპიტალს, მივმართოდ კონცესიებს. ვიცით, რომ უცხოეთის კაპიტალი ხელ გულ დაკრეფილი არ მოვა, თავის ზნე ჩვეულებას არ მოიშლის, გაყვლეფის მადას არ უარყოფს. ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ შესაძლებელი არის ამ გაყვლეფისაგან თავდაცვა, დამუშავება ისეთი პირობების, რომლებიც ჩვენც მოგვცემს მოგებას, აამოძრავებს იმ სიმდიდრეს, რომელიც სრულიად უნაყოფოდ არის.

მრეწველობას, რომელსაც დიდი კაპიტალები სჭირდება, ჩვენ ვერ შევქმნით ახლო მომავალში. სწორი გათვალისწინებული გეგმა გვიკარნახებს იმ გზას, რომელიც ერთად ერთი სავალი გზა არის.

არის მრეწველობა, რომელიც გადაამუშავებს ბევრგვარ ნაწარმოებს. არავითარი საჭიროება არ არის მრეწველობის ყოველგვარი დარგი შექმნა რესპუბლიკის ფარგლებში. აქაც საჭირო არის ისეთი დარგების შექმნა, რომელსაც არ ჩააბრჩობს მეტოქეობა, სადაც შესაძლებელი არის შინაური კონცესია. მაშასადამე, ჩვენთვის ისახება შემდეგი გეგმა ჩვენი რესპუბლიკის აღორძინების: უკიდურესი ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის, ხელმძღვანელობა მრეწველობის დარგების, კონცესიების, შინაური და უცხოელი კაპიტალების საშუალებით, შექმნა ასეთი დარგების, რომელსაც აქვს ნიადაგი, რომელიც შეძლებს გაძლებას. სოფლის მეურნეობის აღორძინებას აქვს მრავალი საშუალება. საქართველო წვრილი მეურნეობის ქვეყანა არის. წვრილ სოფლის მეურნეობას სჭირდება მოწყობა, ასეთი მომწყობა ძალა არის—კოოპერაცია, განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია. სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია დიდებული ძალა არის. ის აძლევს წვრილ მეურნეობას ორგანიზაციას, თავს უყრის მას, აძლევს გეგმას და აძლევს მას საშუალებას შეიტანოს სოფლის მეურნეობაში ყველა ის საშუალებანი წარმოების, რომელნიც მოსახერხებელი არის მსხვილი სოფლის მეურნეობისათვის.

მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ საქართველოს სასოფლო სამეურნეობა, ანუ მწარმოებელ კოოპერაციას არა აქვს გეგმა, არა აქვს სახელმძღვანელო საშუალებანი. ამ დღეებში გამოვიდა საყურადღებო კრებული—მასალები კოოპერატიული მოძრაობის შესახებ საქართველოში. მასალები გვიჩვენებს რა შექმნა წარმოების საქმეში კოოპერაციამ (გვ. 9) რა წარმოება შექმნა, კოოპერაციამ: სახარაზო 58,8 პროც. კოოპერატივების, პურის საცხობი—22,9 პროც., სასადილო 11,5 პროც., ერთ საქსოვი ქარხანა, ერთი ელექტრონის წარმოება და სხვა. მართალია ეს ცნობები 1919 წ. ჩვენ ვიცით, რომ კოოპერატიული წარმოება სამი წლის განმავლობაში შორს არ წასულა. ჩვენი კოოპერაცია უფრო დახელოვნებული არის ვაჭრობაში, ვიდრე წარმოებაში. სოფლის მეურნეობაში კოოპერაცია საქართველოში არ შეჭრილა. გავლენა არ მიუხდენია. ამისი დრო კი დადგა. ასპარეზი დიდი არის, საქმიანობის გამორჩენას დაუსრულებელი საშუალებანი და შესაძლებლობა აქვს.

წარსულ წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ საქართველოს ფულის ტრიალის დაშლა. ჩვენი ფულის ღირებულება უკიდურეს განსაცდელში არის. რა მოელის მას, ვინ იცის. საქართველოს ფულის ტრიალი შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს. ის არ არის ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფილი ოქროთი. მიუხედავათ ამისა ქაღალდის ფული მაინც ასრულებს რაღაც დანიშნულებას. ემისია არის ჯერ-ჯეროპით საშუალება სახელმწიფო მეურნეობის. მისიით ცხოვრება და რაიმე მეურნეობის სწარმოება ყოვლად შეუძლებელი არის. ფულის ღირებულების განმტკიცება აუცილებელი მოთხოვნილებაა სახალხო მეურნეობის. რა გზით, და რა საშუალებით? ფულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, ის მხოლოდ შუამავალი არის საქონლის ტრიალისა. ეროვნული მეურნეობა გაღატაკებული არის. ეროვნული სიმდიდრე განიავებული არის. მაშასადამე, ახლო ხანებში ყოვლად შეუძლებელი არის ისეთი ბიუჯეტი, რომელსაც ზარალი არ ექნება, ვიდრე მეურნეობა არ გაჯანსაღდება, ვიდრე ეროვნულ მეურნეობას პირი არ მოუბრუნდება, შეუძლებელი არის, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არ იქნეს. ბიუჯეტი არის სარკე მეურნეობისა, თუ მეურნეობა დაზარალებული არის, სარკე სწორ სურათს ვერ გვიჩვენებს. რესპუბლიკის ბიუჯეტი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ უამისოთაც ცხადია, რომ ბიუჯეტს ექნება ზარალი, ვინაიდან დანგრეული მეურნეობა საზარალო არის, მაშასადამე ემისია ერთ ხანს აუცილებელი არის, ემისია ქაღალდის ფულის ნიშნების უნდა იქნეს შემცირებული, დაზოგვით უნდა იქნეს ხარჯვა: მოძრავი ცხრილი გადასახადების ქალაქად, ნატურალური გადასახადი და ბეგარა სოფლად, სახელმწიფო მოხელეების ჯამის შემცირება და შემოკლება. ეს საშუალებანი დროებითი ხასიათისა არიან. მეურნეობის ნიადაგი უნდა იქნეს განმტკიცებული, უნდა იქნეს გამრავლებული ნამდვილი ღირებულებანი; და ამისათვის საჭიროა მტკიცე, მიზან შეწონილი, ღრმად აწონ დაწონილი გეგმა სახელმწიფო და სახალხო მეურნეობისა.

სალი მეურნეობა არის საფუძველი მტკიცე ფულის, იარაღი საქონლის ტრიალისა არის ზედნაშენი.

ხ ავალიანი.

ქრონიკა

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება სახ. უნივ. კომიაჩეიკის საგანგებო სხდომა. ყველა წევრებს და კანდიდატებს წინადადება ეძლევა აუცილებლათ გამოცხადდენ.

◆ **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა.** თბილისში მიღებულია ცნობები, რომ ოზურგეთ-ნატანების რკინ. გზის გასაყვანად როსტოვის რკინის გზათა საოლქო სამმართველომ გადასდო საჭირო რელსები.

◆ **სამხედრო-საზღვაო კომისარიატისაგან.** ამით ვაცხადებ საყურადღებოთ, რომ შუამდგომლობა წითელ არმიელებისა და მათი ოჯახებისთვის სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ, თანახმად სრულიათ საქართველოს აღმასრულებელ ცენტრალური კომიტეტის დეკრეტისა № 3, უნდა იყოს მიმართული მაკმაყოფილებელ დაწესებულებისადმი და ამასთანავე იმ ერთეულების და დაწესებულებათა მიერ, სადაც მსახურებენ წითელ არმიელები.

ხოლო კერძო თხოვნები, რომელთაც სამხედრო ერთეულების შუამდგომლობა არ ექნება დართული, № 3 დეკრეტის ინსტრუქციის თანახმად, არ განიხილებიან.

არტელების მოწყობა ცენტრალურ ბიუროში.

◆ **გადასახადების აკრეფა.** ცენტრალურმა ბიურომ საჭიროდ სცნო მიეცეს უმუშევართაგან შემდგარ არტელებს შეღავათი გადასახადის გაწერის მხრივ.

◆ **ფეხსაცმელების მოხელეთა არტელი.** ფეხსაცმელების მოხელეების უმუშევართა ჯგუფის განცხადების გამო, პრინციპიალურად სასურველად სცნეს ფეხსაცმელების მოხელეთა არტელის დაარსება.

◆ **პროცენტების გამორიცხვა შემოსავლიდან.** ყველა არტელებს წინადადება მიეცა აწარმოონ შემოსავალ-გასავლის წიგნი და 2 პროც. გადასცენ ცენტრალურ ბიუროს ფონდს უმუშევართა სასარგებლოდ.

◆ **ფეიქართა არტელის მოწყობა.** იმ გარემოების მიხედვით, რომ წვრილ-წარმოების შრომის არტელის განვითარება საფართლო წარმოების სფეროში, დაკავშირებულია ნართავების მიწოდებასთან ცენტ.

საქართველოს ნავთსადგურებში.

◆ **ფოთის ნავთსადგური.** 30 მაის ნავთსადგურში შემოვიდა რუსეთის გემი ,,პეტრე სტროსტონი'', ბათუმიდან უტვირთოდ, სუხუმიდან ოსმალეთის იალქნიანი გემი ,,კელენჯიგი'' და ,,სუდავებდი'' 11 მგზავრით. 31 მაის სოხუმიდგან მოვიდა გემი ,,პესტელი'' პატარა გემი „ტფილისი“, ბათუმიდგან—4 მგზავრით და ხოფიდან ოსმალეთის—„სალამედ“ 20 ფუთი ტვირთით. „კლილ“-ი ტრაპიზონიდგან.

◆ **ნავთსადგურიდან გავიდა:** 30 მაისს გემი „პეტრე-სტაროსტინ“-ი ოჩემჩირეში 9,000 ფუთ. ტვირთით და 15 მგზავრით, ინგლისური გემი „მინიტოვანი“ როტტერდამში 6,920 ტონ. შავი ქვით.

დღეს თეატრებში:

სახელმწიფო ოპერა—გრიშაშვილის საღამო.

რუსთაველის თეატრი—ვ. ბლიუმენტალ-ტამარინის და ი. ლაშჩილინის გასტროლი „პატარა ღმერთი მიწაზე.

პატარა თეატრი—სომხური წარმოდგენა.

რევ. სამხატ. თეატრი—მზის საცოლე.

სახალხო სახლი—ბელსკის საღამო. ოპერა „კამორა“.

მუშათა ცენტრ. კლუბი—საზაფხულო თეატრი. თავისუფალი კომედია, ბაღში დიდი სეირნობა.

მ. ც. კ. ახალი თეატრი—კინო.

საქართველოს წითელი ლაშქრის ცენტრ. კლუბი—დიდი სეირნობა ბაღში.

სასახლის ბაღი—სომხეთის დამშეულთა სასარგებლოდ დიდი სეირნობა „ლატარია“.

თავისუფალი თეატრი—ებრაელების ჯგუფის წარმოდგენა. ბაღში დიდი სეირნობა.

თეატრი მუშტაიდის ბაღში—წარმოდგენა სეირნობა.

კარლ მარქსის თეატრი (ყოფილი სომხების კლუბი) დიდი სიმფონიური კონცერტი.

პროფკავშირთა კლუბი—ლიტერატურული საღამო.

კონსერვატორია—კონცერტი.

ცირკი—დიდი სადღესასწაულო პროგრამა.

კინო-თეატრები.

არფასტო—(საზაფხულო შენობა) ახალი პროგრამა.

სარკის—ახალი პროგრამა.

თეატრებში 6 ივნისს.

სახელმწიფო ოპერა—წარმოდგენა არ მიდის.

რუსთაველის თეატრი—ქართული წარმოდგენა.

პატარა თეატრი—სომხური წარმოდგენა.

რევ. სამხატვრო თეატრი—მზის საცოლე.

სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა.

მუშათა ცენტ. კლუბი—საზაფხულო თეატრი. თავისუფალი კომედია.

ც. მ. კ. ახალი თეატრი—კინო.

საქარ. წითელი ლაშქრის ცენტრ. კლუბი—საზაფხულო შენობა. კინო.

თავისუფალი თეატრი—ებრაელთა ჯგუფის წარმოდგენა.

პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—თვითმოქმედების საღამო.

კონსერვატორია—კონცერტი.

ცირკი—მრავალ ფეროვანი პროგრამა.

კინო თეატრები.

არფასტო—სიძულვილის სახლი.

კინო არს—ახალი პროგრამა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ქიმიური მრეწველობის აღდგენისათვის.

ს. ს. ს. რ. ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის საორგანიზაციო ბიუროსთა ქიმიური მრეწველობის აღდგენისათვის დაარსებულ კომისიის მეორე სხდომაზე, მოისმინეს შეხედულება ამხ. ქართველიშვილისა, რომელმაც წინადადება შემოიტანა ავჭალის მინის ქარხნის დახურვის შესახებ, რადგან ის იძლევა ზარალს; მისი აზრით საჭიროა გაფართოვდეს ბორჯომის ქარხნის მოქმედება 500 ათასიდან 12 მილიონ ბოთლამდე, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში ბორჯომის წყაროების დებეტს 20 მილიონ ბოთლამდე, რომლის განაღდება უზრუნველყოფილია.

კომისიამ დაადგინა მოახდინოს ანკეტა ყველა წარმოებებში, რის შემდეგ დეტალურად უნდა განიხილონ ამხ. ქართველიშვილის მოსაზრება, რომელმაც აღნიშნა გალენის პრეპარატების წარმოების არა რაციონალური დაყენება ს. მ. უ. ს. და სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ლაბორატორიებში. ს. მ. უ. ს. საბჭოს განკარგულებაში იმყოფება ყოფ. ვილარეტის ლაბორატორია, სადაც მოიპოება გალენის წარმოების ფართე განვითარებისათვის ყოველგვარი საჭირო მასალა.

მაგრამ ამ ლაბორატორიას ხვდება დაბრკოლება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მხრივ, რომელზედაც დამოკიდებულია ნედლი მასალით მომარაგება და წარმოების პროდუქტების დანაწილება. ბევრია კავკასიაში წამლის მცენარეები, რომლიდანაც ზოგიერთი ომამდე გაჰქონდათ საზღვარ გარეთაც. არის ქარხნები, სრულიად გამზადებული ქიმიური პრეპარატების საწარმოებლად, როგორც მაგ. ქარხანა ყოფ. კარლინსკებისა.

თუ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმ. საბჭო გაუწევს დახმარებას ფარმაცევტიულ მრეწველობას, ამ უკანასკნელს ჩვენში უთუოდ კარგი მომავალი ექნება. მომხსენებელი შესაძლებლად სთვლის შეჩერდეს „მიატი“-ს ყველა სახის ნაწარმოებზე, როგორიცაა „სპორინია“, „ბალფეი“, „სალვი“, „ბელადინა“, „ვალერიანკა“, „ტროკოლი“ და „ამიაკი“. ყველა ამ პრეპარატების დასამუშავებლად საჭიროა არსებული ვილარეტის ლაბორატორიის გაფართოება.

ინჟ. გერმანი აღნიშნავს, რომ არსებულ ცნობების თანახმად, რომელიც მოითხოვს შემოწმებას, ცნობილი გერმანული ფირმა „მერკი“ შეუთანხმდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საქართველოს გალენის ქიმიური პრეპარატების მონოპოლიურ მომარაგების შესახებ.

თუ ეს ცნობები დადასტურებულ იქნა, ამას შეუძლია შეაჩეროს ფარმაცევტიური მრეწველობა. ამხ. იაკუბოვიჩი, ეთანხმება რა ამ მოსაზრებას, რჩევას იძლევა ყურადღება მიაქციონ ინჟ. ვოშტის ქიმიურ ქარხანას. უკანასკნელი მოკლედ აცნობს კომისიას ქარხანაში წარმოების მდგომარეობას და ხასიათს. შემდეგ ინჟ. ვოშტა ახასიათებს ქალაქის სასაკლაოზე უხეშ დაუდევარ მოპყრობას დაკლული საქონლიდან დარჩენილ ნაყარ-ნუყარ პროდუქტებს და მის უტილიზაციის საჭიროებას, საჭიროა ქალაქის აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება მის ქარხანას, რომელიც 300 მუშა ხელთან მოუტანს დიდ სარგებლობას საქართველოს ქიმიურ მრეწველობას.

შემდეგ სხდომაზე ინჟ. ვოშტე წარმოადგენს დეტალურ მოხსენებას. საორგანიზაციო ბიურომ იკისრა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ფირმა „მერკ“-ს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ ცნობის შემოწმება, რის შემდეგ მოხსენება განხილულ იქნება.

ჩვენი კომუნალური მეურნეობა

ჯიშიან ცხენების მოშენება.

რევოლიუციამდე ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოში ჯიშიან ცხენების მოშენება ეჭირა პირველი ადგილი თავისი ძვირფასი და ჯიშიანი ცხენებით. უკანასკნელ რიცხვებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენი ცხენების ჯიშის მოშენება სრულიად დაეცა: ნაწილი ძვირფასი მასალების გაიყვეს მცხოვრებლებმა დ ნაწილიც გაიყვანეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს საზღვრებიდან. ასეთმა მდგომარეობამ, რომლის გამო იღუპება სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგი, აიძულა საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის მთავრობა მიეღო ზომები ცხენის ჯიშის მოშენების ასაღორძინებლად, რომელიც ძვირფასი ფაქტორია ქვეყნის სასოფლო მეურნეობის ცხოვრებაში. საჭირო მასალების შეძენა შესაძლებელი იყო თურქესტანიდან, რომელიც ცნობილია ცხენების ჯიშის მოსაშენებელ მასალების სიმდიდრით. საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო საზღვაო კომისარმა ამხ. ელიავამ მიმართა თხოვნით, საქართველოს მთავარი რწმუნებულის (თურქესტანში) ამხ. გიგინეიშვილის საშუალებით, თურქესტანის რესპუბლიკის საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომს აღმოუჩინოს საქართველოს დახმარება ჯიშიან ცხენების მოშენების საქმეში.

თურქესტანის ცხენის ქარხნების სამმართველომ აღუთქვა დახმარება.

ამა წლის აპრილში თურქესტანის ცხენის ქარხნების მთავარ გამგემ ამხ. სავიცკიმ მოაგროვა პირველი ეშელონი კარგი ჯიშის ცხენების, რომელიც თურქესტანის ცხენის ქარხნების სამმართველომ გადასცა საქართველოში გამოსაგზავნად ასეთი შემადგენლობით: 34 კარაბახის ჯიშის ცხენები და 15 სული ახალგაზრდა ცხენები (ორი წლის) 7 კვიცი ამავე ჯიშის, 4 კვიცი თურქესტანის ჯიშის და ერთი წმიდა კირგიზის ჯიშის.

ამას გარდა ეშელონში იყო 2 კვიცი—თურქმენის და ყარაბახის ჯიშის.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი: 30 მაისს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩემი უსაყვარლესი ახალგაზრდა ქალი ნინა. მართალია მას ჯერ კარგათ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია არ იცნობდა, მას არ დასცალდა, მეტი ღვაწლი და ენერგია გამოეჩინა თავისი მუშაობით ჩვენს რიგებში, ვინაიდგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და მასთან ერთი წელიწადი და ხუთი თვე მუდმივათ ავათმყოფობდა, მაგრამ ვინაიდან მომავალი მისგან კარგს პარტიულ მომუშავეს გვპირდებოდა, ამხანაგებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მის დასაფლავებაში. ამიტომ მომეცით ნება, გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო საერთოთ ყველა პარტიულ ამხანაგებს და ნაცნობ-ნათესავებს, რომლებმაც ანუგეშეს ჩემი დამწუხრებული ოჯახი.

ამასთანავე განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი თბილისის მაზრის აღმასკომს, და თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატს.

სერგო მეგრელიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 24.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

დაქირავებული შრომით მომუშავე პირთა დასაზღვევად დამზღვევ ორგანოებში საპროცენტო ანარიცხის შეტანის გამო 23 №-ით გამოცემული დადგენილების მე 3 ე და მე-7-დე მუხ. შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3-ე მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულება, რომელშიაც იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე, საპროცენტო ანარიცხის შეტანას აწარმოებენ ამა 1922 წლ. მაისის 1-დან, ხოლო ყველა დანარჩენი საწარმოო და სხვა დაწესებულება იმ ვადაზე, რომელიც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამა 1922 წლ. იანვრის 24-ს თარიღითა და 11 №-ით გამოცემული დადგენილებით.

2. მუხლი მე-7-დე შეიცვალოს შემდეგნაირად:

ამ საგნის შესახებ გამოცემული ყოველი დადგენილება გაუქმებულ იქნეს, გარდა შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ,,კომუნისტის'' ამა 1922 წლ. იანვრის 29-ს № 22 დაბეჭდილი დადგენილებისა.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. მდივანი**.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. ივნისის 2

თბილისი-სასახლე.

—

დადგენილება.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატისა.

1) განათლების სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა არსებულ მომქმედ და არა მომქმედ გამომცემლობებს, წიგნის მაღაზიებს, კიოსკებს, ბუკინისტებს—და სხვა დაწესებულებებს ს. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელთაც აქვთ რაიმე დამოკიდებულება წიგნებთან, შვიდი დღის ვადაში წარმოადგინონ სია წიგნებისა, რომელიც მათ აქვთ, მათი რაოდენობის აღნიშვნით.

2) წიგნების სიას ხელი უნდა მოაწერონ თავათ პატრონებმა ან მათმა რწმუნებულებმა.

3) პროვინციებმა სიები უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 2 კვირისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

4) ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ ყალბ ცნობებს, ან გვერდს აუხვევენ ცნობების წარმოდგენას, დაჯარიმებულ იქნებიან (25.000.000) ოცდა ხუთ მილიონ მანეთამდის და მიცემულ იქნებიან რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში.

5) ამ დადგენილების ასრულების თვალყურის დევნება დაკისრებული აქვს თბილისში სახელმწიფო გამომცემლობას, პროვინციაში კი—განათლების განყოფილებათა გამგეებს.

6) ყველა სიები უნდა გამოიგზავნოს სახელმწიფო გამომცემლობის მისამართით: თბილისი, ლორის-მელიქ. ქ. № 5.

7) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. სახალხო განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **პ. ზუმბაძე.**

1922 წ.

ივნისის 1 დღე

ქ. თბილისი.

—

ინსტრუქცია.

წითელ არმიელთა, მეუფროსეთა შემადგენლობის და საზოგადოდ ქართულ წითელ ლაშქარში მსახურთა ოჯახების შრომის უნარ მოკლებულ წევრთა დაკმაყოფილების შესახებ, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1922 წ. აპრილის 25-ს № 3 დეკრეტისა.

1. უფროსთა შემადგენლობის და საზოგადოდ ყველა სამხედრო მსახურთა ოჯახების შრომის უნარ მოკლებულ წევრთა მიერ დეკრეტის მე 10 და მე-11 მუხლებთან შეფარდებით დახმარების მიღების უფლება უნდა იყოს დადასტურებული შემდეგნაირად: იმ წევრთა უფლება რომელთა შესახებაც ჯარის ნაწილებში აწარმოებენ ნამსახურობის სიას, ამ უკანასკნელიდან ამონაწერით ხოლო შრომის უნარ მოკლებულ იმ წევრთა უფლება, რომელნიც არ არიან შეტანილი ნამსახურობის სიაში (დები, ძმები, ბებია, პაპა), აგრეთვე ოჯახების იმ წევრთა უფლება, რომელთაც ერთად ერთი მარჩენალი ჰყავთ და ეს წევრები არ არიან ხსენებულ სიაში შეტანილი (წითელ არმიელნი) მოწმობებით. ეს მოწმობები უნდა იქმნას გაცემული ქალაქებში ადგილობრივ მილიციის სამმართველოს მიერ (საუბნო კომისარიატი), ხოლო მაზრებში—სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. შესაძლებელია ამ მოწმობების ნაცვლად ისეთ საბუთების წარმოდგენა, რომელთაც აქვთ მიკუთვნილი ფორმალად დამადასტურებელი მნიშვნელობა.

2. დეკრეტის მე-12 მუხლის მიხედვით შრომის უნარმოკლებულობა უნდა იყოს დადასტურებული მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ მოწვეულ სამკურნალო კომისიისაგან. შემამოწმებელი კომისია უნდა იყოს მოწვეული მაზრის სამხედრო კომისარიატის ბინადრობის ადგილს შემდეგ შემადგენლობისა: თავმჯდომარე სამაზრო სამხედრო კომისარი, წევრები: ერთი კომისარიატის შემადგენლობიდან, ექიმი და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი. თუ შრომის უნარმოკლებული სცხოვრობს მაზრის სამხედრო კომისარიატის ბინადრობის გარეშე და ვერც გამოცხადდება მაზრაში შესამოწმებლად, კომისია უნდა გაემგზავროს ამ პირთან. ასეთ შემთხვევაში კომისია შესდგება: თავმჯდომარისაგან — მაზმაზ სამხედრო კომისარის მიერ კომისარიატის შემადგენლობიდან დანიშნული და წევრები: ადგილობრივ თემის ექიმი და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

3. თუ ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი სცხოვრობს თავის ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრთან ერთად ან და თუ შრომის უნარ მოკლებულნი წევრები სცხოვრობენ იმავე ადგილს, სადაც მსახურობს მარჩენალი (ერთი და იმავე ქალაქში, დაბაში და სხვა), ეს პირები უნდა ჩაირიცხონ დახმარების მისაღებად იმ ერთეულში, სადაც მსახურობს მათი მარჩენალი, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს უფროსობის მიხედვით განცხადება ამ ინსტრუქციის პირველ მუხლში აღნიშნულ საბუთების დართვით.

4. ერთეულის უფროსმა სამი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს წინა მუხლში აღნიშნული განცხადება და თუ ყველა საბუთები სავსებით არის წარმოდგენილი და არავითარ ეჭვს იგინი არ იწვევენ, ვალდებულია დაუყონებლივ გასცეს განკარგულება სათანადო მოთხოვნილების სიაში შეტანის შესახებ. ხოლო თუ საბუთები აკლია ან არ არის სწორი, უნდა განუმარტოს განცხადების შემომტანს რა საბუთების წარმოდგენაა საჭირო: ამასთანავე მოვალეა თავის მხრივ აღმოუჩინოს ყოველივე დახმარება ამ მხრივ.

5 თუ ოჯახის წევრები სცხოვრობენ ცალკე ოჯახის მარჩენალისაგან, ეს წევრები ჩაირიცხონ კმაყოფის მისაღებად მაზრის სამხედრო კომისარიატში. ჩარიცხვისთვის საჭიროა წარუდგინოს მაზრის სამხედრო კომისარს განცხადება ან თვით ოჯახის მარჩენალმა ან მის ოჯახის წევრმა. განცხადებას უნდა დაერთოს ინსტრუქციის მე-3 მუხლში აღნიშნული საბუთები და აგრეთვე მოწმობა ჯარის ერთეულებისა, რომ ოჯახის მაცხოვრებელი მსახურებს იქ.

6. თუ ჯარიდან გაიპარა, დაითხოვეს და ან გარდაიცვალა ის პირი, რომლის ოჯახიც იღებს მაზრის სამხედრო კომისარიატიდან დახმარებას, ჯარის ერთეულის უფროსი მოვალეა დაუყონებლივ ამცნოს სათანადო კომისარიატს დახმარების გაცემის მოსასპობლად, თანახმად დეკრეტის მე-7 მუხლისა.

7. თუ ოჯახის მარჩენალი იქმნა გადაყვანილი და მისი ოჯახის წევრები, რომელნიც იღებენ კმაყოფას ხაზინიდან, გამოიცვლიან ბინადრობის ადგილს, ჯარის ერთეულის უფროსი და მაზრის სამხედრო კომისარი აძლევენ მათ ქვემდებარობის მიხედვით სათანადო ატესტატს.

8. თუ ოჯახში რამოდენიმე პირია, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ მათ ხარჯზე ყოფ ოჯახის წევრთათვის ხაზინიდან დახმარება, ეს დახმარება ეძლევა მხოლოდ ერთ ერთ პირს. მაგალითად, თუ მოხუც დედ-მამას, რომელთაც აქვთ უფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფისა, ჰყავს ორი შვილი წითელ არმიაში, დახმარება ეძლევათ მხოლოდ ერთ ერთ შვილის სახელზე, დამოუკიდებლად იმისა ერთად სხოვრობენ თუ განცალკევებით.

9. შუამდგომლობა ყველა იმ პირებზე, რომლებიც ირიცხებიან ნაწილებში და აქვთ უფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფისა, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ სამხედრო ერთეულებმა, სამმართველოებმა, და დაწესებულებებმა (ურომლისოდაც თხოვნები არ განიხილებიან) მათ მაკმაყოფილებელ ორგანოების სახელზე საჭირო საბუთების თანდართვით, რომელთა მიხედვით ზემოხსენებული ორგანო ადგენს წიგნაკს იმ პირის სახელზე, რომელსაც ეძლევა უფლება დანიშნულ თვიური დახმარების მიღებისა.

10. ამ ინსტრუქციაში ნაჩვენებ მე-9 მუხლის მიხედვით დახმარების გაცემა სწარმოებს იმ სამხედრო ნაწილის მიერ, რომლის სახელზედაც იცემა დაახლოვებითი ავანსი, რომლის დახარჯვის შესახებ სდგება ანგარიში აღნიშვნით ვის, როდის, რამდენი და წიგნაკის რომელ ტალონით სწარმოებდა გაცემა. ეს ანგარიში ზემოდასახელებელი განაღდებული ტალონის თანდართვით იგზავნება მუშათა და გლეხთა ინსპექციაში რევიზიისათვის საერთო წესის მიხედვით, ხოლო ასლი ანგარიშისა უტალონოთ, ახალი ავანსის მოთხოვნისათვის იგზავნება მაკმაყოფილებელ დაწესებულებაში.

დედანთან სწორია: სახალხო და სამხედრო საზღვაო საქმეთა კომისარი **ჯიქია.**

შტაბის უფროსი გენშტაბისა **გედევანიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია

გულდათუთქულნი მშობლები სოფრომ და ეკატერინე, ძმები უშანგი მეუღლითურთ და მაკარი, დები ივდითი და ნატაშა ჯაშები, მეუღლე დარო ნიკოლოზის ასული ჯაში შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან სამშაბათს 6 ივნისს, დილის 11 საათზე. ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში.

1—1

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის. ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანებენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

სახალხო სასურსათო კომისარიატი

1922 წ. ივნისის პირველ რიცხვებში სასახლის ქ. ყოფილ ჟირარდოვის ბინაზე ხსნის მაღაზიას ყველასათვის მისაწოდებლად მანუფაქტურის, საგალანტერიო საქონლის და ფართო მოთხოვნილების საგნებს.

მაღაზიის გახსნის დღიდან, შეწყვეტილ იქმნება ინდივიდუალური საქონლის გაცემა სახალხო სასურსათო კომისარიატის საწყობიდან.

(3—3)

სახალხო სასურსათო კომისარიატის

საწყობიდან დაეთმობათ გლეხებს, სასოფლო სამეურნეო კოლლექტივებს, კოოპერატივებს, სამნეო ორგანოებს და სხვებს

ცელი, ნამგალი, გუთანი, სათიბავი, სამურველი, სათესი მანქანა, კულტივატორი, სამკალი მანქანა

ცნობისათვის მიმართეთ: თბილისი სახალხო სასურსათო კომისარიატში, ევანგულოვის ქ. № 2.

(3—3)

განცხადება

სამოქა-ქაქო სასაკლაოებზედ სწარმოებს გაცემა ყინულისა—ადგილობრივ 30.000 მან. ფუთი და მიტანით 45.000 მანეთი ფუთი.

მსურველებმა ყინულის შესაძენად უნდა შეიტანონ განცხადება სასაკლაოების კანტორაში ან თბილისის კომუნალურ მეურნეობის სამრეწველოს განყოფილებაში (ოთახი № 42).

3—2

ჟურნალ ,,ლომისის'' რედაქტორს გ. ტაბიძეს

იწვევენ გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24) ანგარიშების გასასწორებლად.

3—1

საზ. მეურ. უმაღ. საბჭოს სატყეო კომიტეტი

მსურველებს აწვდის 20 მაისიდან

საწყობებიდან (ხეტყის ქარხანა № 3 დიდი მთავრის ქუჩა, და სატყეო მასალის საწყობი დიდუბეში):

1) ფიჭვის და ნაძვის 1-ლ ხარისხის ფიცრებს 50,000 მანეთი კვადრატიული ვერშოკი სიგრძით 12 არშინი, მე-2 ხარისხის—40,000 მანეთი.

2) ნიგვზის ხის, მუხის, კარაგაჩის და აგრთვე რბილი ჯიშის მასალა ცალკე შეთანხმებით.

3—3

ქ. თბილისის მე-9 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ სარქის მიხეილის ძე ბასინოვის დარჩენილ ქონებისა რათა განაცხადონ მათ ამ ქონებაზედ თავის უფლებები ორი თვის ვადაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

სახალ. მოსამართლე (ხელს აწერს).

(1—1)

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრე.

წრის მორიგი კრება შესდგება ორშაბათს 5 ივნისს, საღამოს 5 საათზე ყოფ. 1 სავაჟო გიმნაზიის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, შესავალი გიმნაზიის ქუჩიდან). იმის გამო, რომ იმავე დღეს საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერაში დანიშნულია თბილისის საბჭოს პლენუმი, წრის ბიურო სთხოვს ყველა წევრებს **დაუგვიანებლად** შეიკრიბონ, რათა მოსწრებულ იქნას წრის მეცადინეობის ჩატარება.

წრის ბიურო.

საჭიროა საჩქაროთ ამერიკული სისტემის

შკაფი-რეგისტრატორი

მსურველებმა მიმართოს სასახლეში, ოთახი № 7.

გაზეთის ტრესტი

რკინის გზების კიოსკების განყოფილება

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე:

თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების **გაზეთების და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.